



## 100 ჩვენი სოფელი თქვენ წინაშე გაზეთის „ჩვენი სოფელი“ რიგით მასა წოდებით!

სამინისტროში გაზეთის შექმნის იდეა 2015 წელს გაჩნდა. 2015 წლის ოქტომბერშივე დაიბეჭდა პირველი ნომერი და ქვეყნის ყველა რეგიონში, ჩვენს ფერმერებთან, მეწარმეებთან, აგრარული საქმით დაინტერესებულ ადამიანებთან დაიგზავნა.

სოფლის მეურნეობის საკითხებს მალე გარემოს დაცვის მიმართულებაც დაემატა. სამინისტრო გაზეთის გამოცემას ისეთივე ენთუზიაზმით აგრძელებს, როგორც ენთუზიაზმითაც პირველი ნომერი მომზადდა.

ჩვენი მიზანი - მაქსიმალურად ბევრი საინტერესო და სასარგებლო ინფორმაცია მივაწოდოთ მკითხველს, ვაქტივობა, მიღწეულია. სწორედ ამიტომ, გაზეთი თქვენს მეგობრად რჩება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების საქმიანობის გასაცნობად, დარგობრივი და არა მარტო დარგობრივი რჩევებისთვის, ყველა მხარდაჭერა აქტივობებზე ოპერატიული ინფორმაციის მისაღებად, იმ ფერმერების, მეწარმეების, მეცნიერების გასაცნობად, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს და გამოცდილების გაზიარება სურთ, გაზეთი გიყვებათ საქართველოს უნიკალურ ბუნებაზე, ქართული ღვინის წარმატებებზე, ტყის ადღვინის და დაცვის ღონისძიებებზე და კიდევ მრავალ საინტერესო თემაზე.

წარმატებები ჩვენს გაზეთს და მადლობა ყველა ერთგულ მკითხველს.

შვეიცარიაში, ქალაქ ციურიხში მდებარე მუზეუმში Ortmuseum Hongg ეთნოგრაფიული გამოფენა „საქართველო-8000 მოსავალი“ საზეიმოდ დაიხურა.

ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა იაპონიაში

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, აშშ-ში საფერავის მესამე ფესტივალი „საფერიკა“ გაიმართა

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ბრუსელში ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია გაიმართა

აშშ-ში, გამოფენაზე „Vinexpo America“ ქართული ღვინო 20-მა კომპანიამ წარადგინა

ქართული ღვინის მწარმოებელი 12 კომპანია ჩინეთის საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობდა

პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Peopl.Pr“ ორგანიზებით და პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის დეგუსტაცია „Georgian Wine Grand Tasting“ გაიმართა

ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, 2024 წლის 11 ივნისს საფრანგეთში, ელზასის რეგიონის ღვინის მწარმოებელთა გაერთიანებაში „Domaine Rolly Cassmann“ ქართული ღვინის პროფესიული დეგუსტაცია და პრეზენტაცია გაიმართა

### დასული ტერიტორიები 83 11



### ბარემოს დაცვა 83 12

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2024 წლის 6 თვეში 4 955 გარემოსდაცვითი სამართალდარღვევა გამოავლინეს

- ტყევი უსაფრთხო მუშაობის სასწავლო პროგრამა

### განათლება 83 13

მწვანე ბანაკი „კლიმატის ელჩები“ დასრულდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ ორგანიზებული მწვანე ბანაკი „კლიმატის ელჩები“ წარმატებით დასრულდა

### სასარგებლო რჩევები 83 14

### დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სარაველა მცენარეები

### გარემოს დაცვა 83 15

კახეთში აგრიკულური თეთრი კაკლის საწინააღმდეგო ღონისძიებები მიმდინარეობს

აღმოსავლეთ საქართველოში კალიაბის საწინააღმდეგოდ 17 ათასი კა ფართობია დაფარული

### ბიომრავალფეროვნება 83 16

### საქართველოს ბიომრავალფეროვნება



### ახალი ამბები 83 2-5

ბათუმში გარემოს ეროვნული სააგენტოს ახალი რეგიონული ოფისი გაიხსნა



ოთარ შამუგია ქედაში კალმახის საინკუბაციო საამქრო დაათვალიერა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, მედიასამუალებების წარმომადგენლებთან ერთად, კოლხეთის ეროვნულ პარკში იმყოფებოდა



ოთარ შამუგია სასათბურე მეურნეობების მქონე ფერმერებს შეხვდა

ევროკავშირის შემფასებელთა მისია პოზიტიურად აფასებს საქართველოს აგრარულ სექტორში მიღწეულ პროგრესს



ნინო თანდილაშვილმა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტების ერთობლივ სხდომაში მიიღო მონაწილეობა

შავი ზღვის ეკოსისტემის პლასტიკით დაბინძურების საფრთხეების აღმოფხვრის საკითხზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა



საქართველოს აკვაკულტურის განვითარების საკითხები სამოქალაქო კომიტეტის შეხვედრაზე განიხილეს



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან პარტნიორობით „ქართული კუთხაების ფსიქოლოგი 2024“ გატარდა

საქართველოდან მოსვლის შესაბამისად 26 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა


ბოლო 10 წელიწადში, აღმის ქვეყნის მიღებული მთლიანი შიდა პროდუქტის 150 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია

### წარმატების ისტორიები 83 6-7

ქ. წნორში კომბინირებული საკვების საწარმო ფუნქციონირებს

სოფელ კურდღელაურში მოქმედმა საწარმომ პროექტის „შელავათიანი აგროკუდიტი“ მხარდაჭერით წარმადობა გაზარდა

სახელმწიფო მხარდაჭერით შექმნილი საწარმო თხილს ევროპაში ყიდის



ქართული ღვინისა და საქართველოს დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის კამპანია

მაისიანო მესხიერი

თამარ პინიხაძე - სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სტრატეგიის, სარეგულაციო, დამოწმებისა და ეკონომიკური ანალიზის სამსახური უფროსი

### ქართული ღვინო 83 8-10

ქართული ღვინის კოკლავიზაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობისათვის განაცხადების მიღება დაიწყო

ბოლნისის დაცული ადგილწარმოების დასახელების ღვინის ფესტივალი

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, საქართველოს ბრიტანული ღვინის პროფესიონალები სტუმრობდნენ

ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, საქართველოს იაპონელი ღვინის პროფესიონალები სტუმრობდნენ



# გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია გურიასა და აჭარაში იმყოფებოდა

## ბათუმში გარემოს ეროვნული სააგენტოს ახალი რეგიონული ოფისი გაიხსნა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია აჭარის მთავრობის ხელმძღვანელთან, თორნიკე რიჟვაძესთან ერთად ქალაქ ბათუმში გარემოს ეროვნული სააგენტოს ახალ რეგიონულ ოფისში სამუშაო პროცესს გაეცნო



შენობაში განთავსდა გარემოს ეროვნული სააგენტოს ისეთი უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ერთეულები, როგორებიცაა მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტი, გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის ბათუმის ლაბორატორია და აჭარის რეგიონული ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორია.



ხელშეკრულებით გარემოსდაცვით სფეროში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზეც აისახება.

„ჩვენ დავასრულეთ ბათუმში გარემოს ეროვნული სააგენტოს რეგიონული ოფისის მშენებლობა, სადაც მოწყობილია სრულიად თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორია, რომელშიც განხორციელდება კვლევები ნიადაგის, ჰაერის და წყლის ხარისხის მონიტორინგის მიმართულებით. რეგულარულად

ვახორციელებთ შავი ზღვის წყლის ხარისხის მონიტორინგს, განსაკუთრებით ტურისტულ სეზონზე. განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, შავი ზღვის წყლის ხარისხი დადგენილ ნორმებს შესაბამეა. სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერებაა, რაზეც ვაგრძელებთ მუშაობას. მნიშვნელოვანია, რომ ანალოგიური ოფისის და ლაბორატორიის მოწყობის მიმართულებით სამუშაოები დაწყებულია ქალაქ ქუთაისშიც“,- აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ.

აჭარის მთავრობის ხელმძღვანელმა, თორნიკე რიჟვაძემ, გარემოს ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებს ახალი ოფისის გახსნა მიულოცა და ხაზი გაუსვა, რომ ლაბორატორიაში განხორციელებული კვლევები მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე რეგიონში ჩამოსული დამსვენებლებისთვის.

როგორც ბარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ, მათა ბითაძემ აღნიშნა, მნიშვნელოვანია, რომ ოფისი აშენდა სწორედ სახელმწიფო ინვესტიციით და ის გარემო და ტექნოლოგიური შესაძლებლობები, რასაც ოფისი იძლევა, არის სანაირი როგორც ახალი კადრების მოზიდვისთვის, ასევე სტაჟირების იმ ანაზღაურებადი პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის, რომელიც სულ ახლახან დაიწყო.

ბათუმის ახალ ლაბორატორიაში შესაძლებელი იქნება საკვლევო კომპონენტების გაფართოება და უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით, ახალი მეთოდების დანერგვა. გაიზრდება მონიტორინგის სადგურების რიცხვი, შესაძლებელი იქნება კვლევების წარმოება უახლესი მეთოდებით, ევროკავშირის წყლისა და საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივების შესაბამისად. მნიშვნელოვანად გაიზრდება სამეცნიერო-კვლევითი შესაძლებლობები მეთევზეობისა და აკვაკულტურის მიმართულებით როგორც საზღვაო სივრცეში, ასევე, შიდა წყალსატევებში.

აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე, ბათუმის ლაბორატორიაში, მხოლოდ მოკლე ქიმიური ანალიზი ტარდებოდა, ხოლო სინჯები სრული ანალიზისთვის იგზავნებოდა თბილისის ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ლაბორატორიაში.



## ოთარ შამუგიამ ქედაში კალმახის საინკუბაციო საამქრო დაათვალიერა



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა შავაძესთან ერთად, ქედაში, სოფელ წონიარისში მდებარე კალმახის საინკუბაციო საამქროში იმყოფებოდა. საამქრო ორგანული აკვაკულტურის განვითარების ასოციაცია „ფორეკს“ ეკუთვნის.

„საქართველოს აკვაკულტურის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. ჩვენი მიზანია, მაქსიმალურად შევინყოთ

ხელი ამ პროცესს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა; პირველ რიგში, ეს იყო კანონის მიღება, რომელიც გასულ წელს ამოქმედდა; განვახორციელეთ არაერთი რეფორმა და რეგულაცია, რომლის შედეგადაც, დღისათვის, შეფერხებების გარეშე შეგვიძლია გავიტანოთ შავი ზღვის თევზი და თევზის პროდუქტები ევროკავშირის ბაზარზე. ჩვენ ვაგრძელებთ ამ პროცესს;

შემუშავებული გვაქვს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა აკვაკულტურის განვითარების შესახებ, სადაც განწერილია მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში რა ქმედებები და ღონისძიებები უნდა გატარდეს, რაც გავაცანით დარგის წარმომადგენლებს და ასოციაციებს და ველოდებით მათგან ქმედით წინადადებებს. სახელმწიფო მზადაა, მენარმებს მხარი დავუჭიროთ, რომ მომავალში ქვეყანაში წარმოება გაიზარდოს და სტანდარტები ევროპული მოთხოვნის შესაბამისი გახდეს“,- განაცხადა ოთარ შამუგიამ.

ორგანული აკვაკულტურის განვითარების ასოციაციის „ფორეკი“ თავმჯდომარის სოფო დიასამიძის განცხადებით, ქედაში არსებული საინკუბაციო საწარმო 2019 წელს შეიქმნა. ასოციაციის მიზანია საქართველოში აკვაკულტურის

მდგრადი განვითარების ხელშეწყობა და თევზსაშენი მეურნეობების რენტაბელობის მიღწევა ღირებულებათა გაჭვის სრული ციკლის გათვალისწინებით. საწარმოში წლის განმავლობაში ინარჩუნება დაახლოებით 1 მილიონი კალმახის მაღალი სელექციის და იმუნეტის მქონე ლიფსიტა, რომელიც შემდგომში ინაცვლებს ასოციაციის წევრი ფერმერების მეურნეობებში გამოსაზრდელად. ამ მიდგომით შესაძლებელი ხდება ფერმერების დანაკარგების 50%-იდან 5 %-მდე შემცირება.





# გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან ერთად, კოლხეთის ეროვნულ პარკში იყოფილა



„დაცული ტერიტორიების განვითარება ერთ-ერთი ის მიმართულებაა, სადაც გვაქვს თვალსაჩინო პროგრესი. ყოველწლიურად ვაარსებთ ახალ დაცულ ტერიტორიებს; ბოლო 10 წლის განმავლობაში, ქვეყანაში 30-ზე მეტი ახალი დაცული ტერიტორია შეიქმნა. დღეს უკვე 100 დაცული ტერიტორია გვაქვს, რომლის ფართობი 900 000 ჰა-ზე მეტია. წელს გურიაში დაარსდა ახალი ეროვნული პარკი, აქტიურად ვმუშაობთ რაჭაში არსებული დაცული ტერიტორიის გაფართოებაზე, სამეგრელოსა და ზემო სვანეთში დაცული ტერიტორიის შექმნაზე. აღნიშნული, პირველ რიგში, უმნიშვნელოვანესია ჩვენი უნიკალური ბუნების დაცვისთვის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის, ამავდროულად, ჩვენს დაცულ ტერიტორიებს აქვთ ძალიან დიდი პოტენციური ეკონომიკური მიმართულებით და ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ სწორად გამოვიყენოთ ეს პოტენციალი. ბოლო წლების

განმავლობაში, 200 მილიონ ლარზე მეტი ინფრასტრუქტურის განვითარებაში ინვესტირებული, როგორც კერძო სექტორის, ასევე, სახელმწიფოს მხრიდან. ჩვენს დაცულ ტერიტორიებზე ყოველწლიურად მზარდია ვიზიტორების რაოდენობა; მზარდია შემოსავალი როგორც დაცული ტერიტორიების სააგენტოსი, ასევე, რაც მთავარია, იმ ადგილობრივი მოსახლეობის, ვინც ამ პროცესშია ჩართული ტურისტული მომსახურების განვითარების კუთხით. ეს არის ერთ-ერთი ძალიან კარგი შესაძლებლობა თემებისთვის, ჩაერთონ მომსახურების პროცესში, სერვისში, მიიღონ შემოსავალი; ჩვენ არაერთი ასეთი მაგალითი გვაქვს. ჩვენი პოლიტიკა სწორედ ამ მიზანს ემსახურება, რომ დავიცვათ ჩვენი ბუნება, ვიზრუნოთ მასზე და, ამავდროულად, მოვიზიდოთ მეტი ვიზიტორი, რაც რეგიონში კიდევ უფრო მეტი ეკონომიკური განვითარებისთვის შესაძლებლობას ქმნის“, - აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ.



## ოთარ შამუგია სასაბურთაო მეურნეობების მქონე ფარმერებს შეხვდა



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ სასაბურთაო მეურნეობის მქონე ფერმერებთან გამართულ სამუშაო შეხვედრაზე სასაბურთაო მეურნეობების განვითარების საკითხები განიხილა. საუბარი შეეხო ერთწლიანი კულტურების წარმოების მიმართულებით არსებულ გამოწვევებს.

„სამინისტრო არაერთი მიმართულებით ახორციელებს ფერმერების მხარდამჭერ პროექტებს. ჩვენი მიზანია, მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი ქართული აგროპროდუქციის წარმოებას, რაც უზრუნველყოფს როგორც

ადგილობრივი ბაზრის გაჯერებას, ასევე, საექსპორტო პოტენციალის ათვისებას. მინდა აღვნიშნო, რომ ყველა მხარდამჭერი სახელმწიფო პროექტი დარგის წარმომადგენლებთან, ფერმერებთან და მენარმებთან განხილვის საფუძველზე იქმნება და მათ საჭიროებებზეა მორგებული. შესაბამისად, ყველა სამუშაო ფორმატში სამომავლო გეგმებს განვიხილავთ“, - აღნიშნა ოთარ შამუგიამ.

აღსანიშნავია, რომ სასაბურთაო მეურნეობების შექმნისა და განვითარების მიმართულებით სამინისტროს მიერ არაერთი სახელმწიფო პროგრამა

განხორციელდა, მათ შორის, აგროწარმოების ხელშეწყობის საპილოტე პროგრამა ქალებისთვის; გრძელდება შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში მხარდაჭერა იმ ფერმერების, რომელთაც სასაბურთაო მეურნეობებში მოყავთ მოსავალი.





## ევროკავშირის შემფასებელთა მისია პოზიტიურად აფასებს საქართველოს აგრარულ სექტორში მიღწეულ პროგრესს



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნინო თანდილაშვილმა ევროკავშირის შემფასებელთა მისიასთან შეხვედრა გამართა. ევროკავშირის წარმომადგენლებმა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) მეოთხე ფაზის 2023 წლისთვის აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი განახორციელეს, რომელიც

სურსათის უვნებლობის და სოფლის განვითარების კომპონენტებს მოიცავს.

შემფასებელთა მისიამ დადებითად შეაფასა საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების დინამიკა და პოზიტიურ ჭრილში მიმოიხილა საქართველოს აგრარულ სექტორში მიღწეული პროგრესი და შედეგები. ევროკავშირის წარმომადგენლებმა ქართულ მხარეს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების კუთხით ევროკავშირის წევრობისკენ მიმავალ გზაზე მნიშვნელოვანი რეკომენდაციებიც გაუზიარეს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ მადლობა გადაუხადა ევროკავშირის შემფასებელთა მისიას პოზიტიური შეფასებისთვის და მზადყოფნა გამოთქვა სამომავლო თანამშრომლობის გაგრძელების კუთხით.

ვიზიტის ფარგლებში, ევროკავშირის შემფასებელთა მისიამ შეხვედრები სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტების, სურსათის ეროვნული სააგენტოს, სოფლის განვითარების სააგენტოს და საქართველოს მელიორაციის წარმომადგენლებთან გამართა.

აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD) საქართველოში 2013 წლიდან მიმდინარეობს. ENPARD ევროკავშირის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროგრამაა, რომლის მიზანია ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, სიღარიბის დონის შემცირება, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა, ასევე საქართველოში წარმოებული პროდუქციის ხარისხის და კონკურენტუნარიანობის გაზრდა და მისი ევროკავშირში ექსპორტის ხელშეწყობა.

## ნინო თანდილაშვილმა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტების ერთობლივ სხდომაში მიიღო მონაწილეობა



თანდილაშვილმა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტების ერთობლივ სხდომაში მიიღო მონაწილეობა. გასვლითი სხდომა კოლხეთის ეროვნულ პარკში გაიმართა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების 10 წლისთავთან დაკავშირებით, კომიტეტები, გასვლითი სხდომების ფარგლებში, შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების

შედეგების ანგარიშებს ისმენენ.

კოლხეთის ეროვნულ პარკში გამართულ შეხვედრაზე, გარემოს დაცვის სფეროში ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების 2014-2024 წლების შედეგები განიხილეს.

„10 წელი გავიდა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან. ამ პერიოდის განმავლობაში, საქართველომ გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. გარემოს დაცვის მიმართულებით არსებული 27 რეგულაციიდან, საქართველოს კანონმდებლობა დღეს 21 რეგულაციასთან სრულად არის დაახლოებული, ეს ეხება როგორც ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე დასული ტერიტორიების გაფართოებას, რომლის ფართობი 13%-მდე გაიზარდა. არაერთი ნაბიჯი გადადგა სახელმწიფომ სამრეწველო სექტორიდან დაბინძურების შესამცირებლად.“

გვაქვს ახალი კანონმდებლობა წყლის რესურსების მართვის მიმართულებით, რომელიც ეტაპობრივად ამოქმედდება და უზრუნველყოფს ქვეყნის მასშტაბით წლის რესურსების მდგრად გამოყენებასა და წყლის რესურსების სწორად მართვას. მოგვხსენებათ, კლიმატის ცვლილების კუთხით, ჩვენი პოლიტიკა არის სრულად დაახლოებული ევროკავშირის პოლიტიკასთან. საქართველოს, ევროკავშირის მსგავსად, 2050 წლისთვის კლიმატენიტრალურობის მიღწევა აქვს გახსადებული“, - განაცხადა ნინო თანდილაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ გასვლითი სხდომები გრძელდება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე სავსე სამუშაოების გახსნა, წყლის მონიტორინგის ღონისძიებაზე დაკვირვება, ქალაქ ბათუმში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ახალი სადგურის დათვალიერება და ატმოსფერულ ჰაერში მყარი ნაწილაკების ანალიზატორების მუშაობის პრინციპის გახსნა.

## შავი ზღვის ეკონომიკის კლასტიკით დაბინძურების საფრთხეების აღმოფხვრის საკითხზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა



მდინარეებსა და შავ ზღვაში მოხვედრილი პლასტიკის ნარჩენების შეგროვების ტექნოლოგიებზე, პლასტიკით დაბინძურებული ცხელი წერტილების გამოვლენასა და პლასტიკის ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პოლიტიკაზე ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა იმსჯელეს. სამუშაო შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი დაესწრო, რომელმაც შავი ზღვის აუზის ქვეყნებისთვის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ერთიანი პოლიტიკის შემუშავებაზე გამახვილა ყურადღება.

„ოკეანეების, ზღვების და მდინარეების პლასტიკით დაბინძურება გლობალური პრობლემაა. მნიშვნელოვანია, შავი ზღვის დაბინძურების დონის და ამ პრობლემის აღმოფხვრის გზების შესწავლა. ზღვის ფრანგმენტულად გასუფთავება გრძელვადიანი შედეგის მომტანი ვერ იქნება, ეს საკითხი კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. საქართველომ, შავი ზღვის ქვეყნებთან ერთად, უნდა იზრუნოს შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაზე“, - აღნიშნა სოლომონ პავლიაშვილმა.

პლასტიკის დაბინძურების დასაძლევად საქართველოს მთავრობამ 2021 წელს პლასტიკის ნარჩენების პრევენციის ეროვნული პროგრამა შეიმუშავა, ამავდროულად, ქვეყანა მალალი ამბიციის კოალიციაში განწევრიანდა, რომლის მიზანია 2040 წლისთვის პლასტიკის დაბინძურების სრულად აღმოფხვრა.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი სპეციალისტის კლაუს სატლერის განცხადებით, საქართველოს მთავრობა, პლასტიკის დაბინძურების საფრთხეების აღმოფხვრის პოლიტიკის შემუშავების ნაწილში, საერთაშორისო დონეზე მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს.

შეხვედრა მსოფლიო ბანკის PROBLUE ინიციატივის ფარგლებში გაიმართა, რომლის მიზანია ინტეგრირებული, მდგრადი და ჯანსაღი საზღვაო და სანაპირო რესურსების განვითარების მხარდაჭერა.





საქართველოს აკვაკულტურის განვითარების საკითხები სამოქალაქო კომიტეტის შეხვედრაზე განიხილეს



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ჩართულობით, საქართველოს აკვაკულტურის მდგრადი განვითარების 2024-2028 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმის პროექტები შეიმუშავა. აღნიშნული დოკუმენტები სამოქალაქო კომიტეტის წევრებს, დარგის სპეციალისტებს, ასოციაციების წარმომადგენლებს და ფერმერებს გააცნეს.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე თენგიზ ნასარიძე ესწრებოდა.

მინისტრის მოადგილემ ქვეყანაში აკვაკულტურის განვითარებისთვის ბოლო წლებში გადადგმულ ნაბიჯებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი გამოდინარე, სამინისტროს სტრუქტურაში აკვაკულტურის განვითარების ერთეული შეიქმნა.

„საქართველოს აკვაკულტურის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს; შესაბამისად, ჩვენი მიზანია, არსებული შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვიყენოთ. ქვეყანაში აკვაკულტურის განვითარების და საქესპორტო შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით სამინისტროს კონკრეტული გეგმები აქვს დასახული. შემუშავებული სტრატეგია, ვიქტრობ, ღირებულებები

დოკუმენტია, რომელზე დაყრდნობითაც დარგში დასაქმებული ფერმერების ხელშეწყობა, შესაძლებლობების ზრდა და სწორი აქცენტების განსაზღვრა მოხდება“, - აღნიშნა თენგიზ ნასარიძემ.

საქართველოს აკვაკულტურის მდგრადი განვითარების 2024-2028 წლის სტრატეგია ათ ძირითად ამოცანას მოიცავს, მათ შორის, თევზის ბუნებრივი რესურსების და მოქმედი აკვაკულტურის მეურნეობების ინვენტარიზაცია; პერსპექტიული თევზის სახეობებისა და წყლის ეკოსისტემების ფონდის განსაზღვრა; აკვაკულტურის წარმოების მდგრადი მეთოდების დანერგვა და ეკოლოგიურად მიზანშეწონილი ახალი მიმართულებების განვითარება; აკვაკულტურის დარგის სპეციალისტების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება; საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება, ახალი სანარმოო სისტემების შექმნა და

არსებული სისტემების მოდერნიზაცია; წარმოებული თევზის პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესება და უსაფრთხოების მოთხოვნების დამაკმაყოფილებლად; საქართველოში წარმოებული აკვაკულტურის პროდუქტების რეალიზაციისათვის წარმატებული მარკეტინგული მიდგომების განვითარება.

აღსანიშნავია, რომ აკვაკულტურის განვითარება სამინისტროსთვის პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს; 2020 წელს ქვეყანაში აკვაკულტურის შესახებ კანონი ამოქმედდა, 2023 წელს კი, საზღვაო აკვაკულტურის ფერმერების მოსაწყობად, აჭარის, სამეგრელოს და გურიის სანაპირო ზოლში 8 ლოკაცია გამოიყო. გადადგმული ნაბიჯების შედეგად, 2024 წელს, ევროკავშირმა საქართველოს სახელმწიფო უწყებების მიერ გაცემული თევზჭერის სერტიფიკატები ოფიციალურად აღიარა, რამაც ქართველ მენარმეებს ზღვაში დაჭერილი თევზისა და თევზჭერის პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის შესაძლებლობა მისცა.



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან პარტნიორობით, „ქართული კუთხეების ფესტივალი 2024“ ჩატარდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე თენგიზ ნასარიძე და სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი დავით ნითლიძე „ქართული კუთხეების ფესტივალი 2024-ის“ გახსნის ღონისძიებას დაესწრნენ. ფესტივალში 60-მდე ღვინის მწარმოებელი კომპანია, ასევე თაფლის, ჩურჩხელის, ჩირის, ყველისა და სხვა პროდუქციის მწარმოებელი მცირემწარმეები მონაწილეობდნენ. მინისტრის მოადგილემ, მისასალმებელი სიტყვით გამოსვლის დროს, ღონისძიების ორგანიზატორებს, „ნისქვილი ჯგუფს“ და „მეიდან ჯგუფს“ მადლობა

გადაუხადა და აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის აქტივობები ქართული პროდუქციის ცნობადობას და, შესაბამისად, მასზე მოთხოვნას ზრდის.

„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ხელს უწყობს ქართული პროდუქციის პოპულარიზაციას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. ჩვენ მხარს ვუჭერთ მენარმეებს წარმოების ზრდაში, ასევე, მარკეტინგის მიმართულებით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

სამინისტროს სპეციალური საბჭო ქართული ხარისხის ნიშანს ანიჭებს განსაკუთრებული ტექნოლოგიით დამზადებულ ან საგემოვნო თვისებებით გამორჩეულ პროდუქციას. დღეს გამართულ ქართული კუთხეების ფესტივალზე მენარმეებს ქართული ხარისხის ნიშნის მქონე პროდუქციაც აქვთ წარმოდგენილი“, - აღნიშნა თენგიზ ნასარიძემ.

ქართული კუთხეების ფესტივალზე წარმოდგენილი იყო „ძმები ხუციშვილების ღვინის მარანი“, რომელიც 7 სახეობის ქვევრის ღვინოს აწარმოებს. როგორც მისმა დამფუძნებელმა გიორგი ხუციშვილმა აღნიშნა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა გამოფენასა თუ ფესტივალში, რაც შეეხება დღევანდელ ფესტივალს, ის მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის.

„ქართული კუთხეების ფესტივალი 2024-ის“ ორგანიზატორის „მეიდან ჯგუფის“ წარმომადგენლის ნათია ცეცხლაძის განცხადებით, ქართული ღვინის და, ზოგადად, ქართული პროდუქციის ცნობადობის გაზრდა ძალიან მნიშვნელოვანია; აღნიშნული ფესტივალის სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

„ქართული კუთხეების ფესტივალი 2024-ის“ პარტნიორები არიან: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, გიდების ასოციაცია, თბილისის ღვინის მუზეუმი, კრწანისის რაიონის გამგეობა, თბილსერვის ჯგუფი.

„ქართული კუთხეების ფესტივალი 2024-ის“ მიზანია ქართული ღვინისა და კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობა. ფესტივალის ფარგლებში იმართება ღვინის დეგუსტაცია და სხვადასხვა კუთხის ტრადიციული კერძების მომზადების მასტერკლასები. ფესტივალი, თბილისის გარდა, იმერეთში, რაჭაში, გურიაში, სვანეთში, სამეგრელოსა და სამცხე-ჯავახეთში ტარდება.



საქართველოდან მოყვნილ ქესპორტმა 26 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა



მიმდინარე წლის 1 მაისიდან 14 ივლისის ჩათვლით, საქართველოდან განხორციელდა 4.5 ათასი ტონა მოყვნილ ქესპორტს, რომლის ღირებულებამ 26.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ქესპორტირებული მოყვნილი მოცულობა 1.6 ათასი ტონით (56%-ით), ხოლო ღირებულება - 9.1 მლნ აშშ დოლარით (53%-ით) გაიზარდა.

მოცვი ძირითადად ქესპორტირებულია: რუსეთში, გერმანიაში, პოლონეთში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, სომხეთში, ნიდერლანდებში, თურქეთში და სხვა ქვეყნებში.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქტიურად უჭერს მხარს ლურჯი მოყვის ახალი ბალების გაშენებას; სახელმწიფო პროგრამის „დანერგვა მომავალი“ ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, 53,5 მლნ ლარის თანადაფინანსებით 2,836 ჰა ფართობი მოყვის ბალები გაშენებული.

მიმდინარე წლის მოყვის ქესპორტის ღირებულება 2023 წლის ქესპორტის ჯამურ მაჩვენებელს უკვე აღემატება 5.6 მლნ აშშ დოლარით. რაც შეეხება ქესპორტის რაოდენობას, 2023 წელს საქართველოდან ქესპორტირებული იყო 3.4 ათასი ტონა მოცვი.

ბოლო 10 წელიწადში, ატმის ქესპორტით მიღებული შემოსავალი 150 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია



ატმისა და ვაშლათამას ქესპორტი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 15%-ით გაიზარდა და 10 808 ტონას მიაღწია; 21 %-ით გაიზარდა შემოსავალიც, რომელმაც 2024 წლის 1 მაისი - 14 ივლისის მონაცემებით, 12 მლნ 200 ათასს გადააჭარბა. 5%-ით გაზარდილია ატმისა და ვაშლათამას საექსპორტო ფასიც, რომელიც ამ დროისთვის 1.13 აშშ დოლარია.

ბოლო 10 წელიწადში, ატმის და ვაშლათამას ქესპორტმა 165 ათას ტონას გადააჭარბა; ქესპორტით მიღებულმა შემოსავალმა კი 150 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია.





### ქ. წნორში კომბინირებული საკვების საწარმო ფუნქციონირებს



სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორში, სახელმწიფო პროგრამის „შელავათიანი აგროკრედიტი“ ფარგლებში შექმნილი კომბინირებული საკვების თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საწარმო „ტაოფუდი“ 2021 წლიდან საქმიანობს.

კომპანიის დამფუძნებლის, მანანა მეთრეველის თქმით, მიუხედავად იმისა რომ მათ ბანდების პერიოდში დაინყეს საქმიანობა, ძალიან მალე პოპულარული გახდა მათი პროდუქტი, ამ ყველაფრის მიღწევა კი წარმოუდგენელი იქნებოდა სახელმწიფოს დახმარების გარეშე.

„სახელმწიფომ დაიწყო ძალიან საინტერესო პროგრამების შემოთავაზება, მათ შორის „შელავათიანი აგროკრედიტის“ პროექტის. ეს შემოთავაზება რომ არ

ყოფილიყო, შეიძლება ვერც შექმნილიყო ეს საწარმო. დასაქმებულები არიან ახალგაზრდები, რაც ძალიან გვახარებს, ეს არის სტიმული იმისა, რომ რეგიონიდან წასული ახალგაზრდობა უკან დაბრუნდეს“, - აღნიშნავს მანანა მეთრეველი.

აღსანიშნავია, რომ ნედლეული, რომელითაც კომბინირებული საკვები მზადდება ადგილობრივი წარმოებისაა. პროდუქცია „ტაოფუდის“ სახელით იყიდება ადგილობრივ ბაზარზე და გამოიყენება როგორც შინაური და გარეული ფრინველის, ასევე თევზის საკვებად.

### სოფელ კურდღელაურში მოქმედებს საწარმო პროექტის „შელავათიანი აგროკრედიტი“ მხარდაჭერით წარმადობა გაზარდა



კახეთის რეგიონში, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურში მდებარე რძის გადამამუშავებელი საწარმო, აწარმოებს როგორც ქართულ ტრადიციულ, ასევე ევროპულ ყველს.

კომპანიის „სიცივის ყველი“ დირექტორის, გიორგი ლალაშვილის თქმით, საწარმოში ყველი არტიზანულად, ხელით მზადდება და სწორედ ეს გამოარჩევს მას. წარმოებაში გამოიყენება მხოლოდ ნედლი

რძე. საწარმო ნედლეულად ცივგომბორის რძეს იყენებს და სახელიც - „სიცივის ყველი“ ამიტომ შეირჩა. პროექტის „შელავათიანი აგროკრედიტი“ მეშვეობით კომპანიამ შეძლო წარმადობის გაორმაგება.

პროდუქცია იყიდება, როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე გადის ექსპორტზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა და ჩინეთში.

### სახელმწიფო მხარდაჭერით შექმნილი საწარმო თხილს ევროკავშირის ყიდის



კომპანიის „ჯეო ნათის“ თხილის გადამამუშავებელი საწარმო 2018 წლიდან გადამამუშავებს კომპანიის საკუთრებაში არსებულ 150 ჰექტარზე გაშენებულ თანამედროვე ბაღებიდან მიღებულ თხილს. საწარმოში, ხდება 5,000-მდე ადგილობრივი ფერ-მერისგან მაღალი ხარისხის ნედლეულის ჩაბარებაც.

„განარმობით მაღალი ხარისხის პროდუქციას. ხარისხიან თხილზე მოთხოვნა მაღალია, ჩვენი კომპანია ამ კუთხით რამდენიმე წელია თანამშრომლობს კომპანიასთან „ფერურო“. ჩვენი პროდუქცია ძირითადად გადის ექსპორტზე გერმანიაში, იტალიაში, საფრანგეთსა და ესპანეთში. სახელმწიფოსგან მიღებული დახმარების შედეგად აშენდა საწარმო. საქმისადმი სიყვარულმა და დაუღალავმა შრომამ მოგვითანა წარმატება“, - აღნიშნავს კომპანიის „ჯეო-ნათის“ დამფუძნებელი ჯენერ ბელქანია.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში თხილის გადამამუშავებელი საწარმო სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით 2018 წელს ამოქმედდა. შპს „ჯეო ნათის“ სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამების ბენეფიციარია, კომპანია სარგებლობს საგრანტო თანადაფინანსებითა და შელავათიანი აგროკრედიტის პროგრამით.



## საქართველოს მელიორაცია GEORGIAN AMELIORATION სოფელ ვეჯინში სარწყავი ქსელი წესრიგდება



შპს „საქართველოს მელიორაცია“ რწყვის სეზონის პარალელურად სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებს განაგრძობს.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის პირველი რიგის გამანაწილებელი

არხის რეაბილიტაცია განხორციელდა. 1700 მეტრი სიგრძის მონაკვეთზე ლითონის მილით დახურული ქსელი მოეწყო.

სამუშაოები, სოფელ ვეჯინში 240 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდებას გააუმჯობესებს და მოსავლიანობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

## საქართველოს მელიორაცია GEORGIAN AMELIORATION საქართველოს მელიორაციაში სტუდენტებს სტაჟირება ბაიარეს



შპს „საქართველოს მელიორაციაში“ აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტის სტუდენტებს სტაჟირება გაიარეს.

ერთი თვის განმავლობაში, სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ, კომპანიის რეგიონულ სერვისცენტრებსა და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ობიექტებზე მუშაობის სპეციფიკას გაეცნობოდნენ.

სტაჟირება შპს „საქართველოს მელიორაციაში“ და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ტარდება. სტაჟირების პროგრამა მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის დარგში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მომზადების მხარდაჭერას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

კომპანიაში გამართულ შეხვედრაზე სტუდენტებმა სტაჟირების შემაჯავებელი პრეზენტაცია წარმოადგინეს, რის შემდეგაც სერტიფიკატი გადაეცათ.

ღონისძიებას კომპანიის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელები და ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ესწრებოდნენ.

„საქართველოს მელიორაცია“ სტუდენტებს მომავალშიც შესთავაზებს კომპანიაში სტაჟირების გავლას.





# ქართული ღვინისა და საქართველოს დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის კამპანია



## გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს დაცული ტერიტორიების და ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, ზაფხულის ტურისტულ სეზონზე, ორთვიან კამპანიას გახვნილებით - „აღმოაჩინე საქართველოს ბუნება“ და „საქართველო ღვინის სამშობლო“ ახორციელებს

კამპანიის ფარგლებში, სარეკლამო ბანერები და საინფორმაციო მასალები განთავსდა საქართველოს საერთაშორისო აეროპორტებში. ჩამოსულ სტუმრებს, პასპორტის კონტროლის გავლისას, გადაეცემათ ფლაერები, საქართველოს ეროვნული პარკების და ქართული ღვინის შესახებ.

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, საერთაშორისო ასპარეზზე აღნიშნული მიმართულებების პოპულარიზაციის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტო და დაცული ტერიტორიების სააგენტო აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო გამოფენებში და

არაერთ მნიშვნელოვან მარკეტინგულ კამპანიას ახორციელებენ.

მიმდინარე წელს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებითა და მხარდაჭერით, მსოფლიოს 12 ქვეყანაში - აშშ, ნორვეგია, იტალია, ნიდერლანდები, იაპონია, პოლონეთი, გერმანია, ჩინეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, პორტუგალია - ქართული ღვინის დეგუსტაციის 60 ღონისძიება გაიმართა. ამასთან, ქართული ღვინო წარდგენილი იყო 17 საერთაშორისო გამოფენასა და 9 ფესტივალზე. სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული კომპანიები მონაწილეობდნენ საქართველოში გამართულ

ღვინის 8 ფესტივალსა და გამოფენებში.

წელს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს სტენდი წარმოდგენილი იყო აშშ-ის, საუდის არაბეთისა და ჰონგ-კონგის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე. გამოფენების სტუმრების მხრიდან, საქართველოს დაცული ტერიტორიების მიმართ, განსაკუთრებული ინტერესი დაფიქსირდა. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა უკვე იცოდა საქართველოს უნიკალური ბუნების შესახებ, ხოლო მათ, ვინც პირველად გაეცნო საქართველოს შესახებ ინფორმაციას, სურვილი გამოთქვა, ახლო მომავალში, საქართველოში სტუმრობის.

## გაიცანით მესხიერი თამარ ჯინჯიხაძე - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სტანდარტების, სერტიფიცირების, დაგეგმვისა და ეკონომიკური ანალიზის სამსახური უფროსი



თამარ ჯინჯიხაძე: „პირველი გამოცდილება მცენარეთა გენეტიკური რესურსების სფეროში, აგრარული ბიომრავალფეროვნების კუთხით, ბირმინგემის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული კონფერენცია იყო, რომლის ძირითად თემას „მცენარეთა გენეტიკური რესურსების

კონსერვაცია, დოკუმენტაცია, დახასიათება და მონაცემთა ბაზის ანალიზი“ წარმოადგენდა“.

თამარი 2016 წლიდან სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის გუნდს შემოუერთდა; ამჟამად კი, სტანდარტების, სერტიფიცირების, დაგეგმვისა და ეკონომიკური სამსახურის უფროსია.

თამარ ჯინჯიხაძე: „ჩვენი საქმიანობის ძირითად მიმართულებას მცენარეთა და ცხოველთა აგრობიომრავალფეროვნების მიმართ არსებული საფრთხეების შეფასება და მათი გადაჭრის გზების კვლევა, ასევე, თესლისა და სარგავი მასალების კონტროლის საერთაშორისო სისტემების მოძიება, სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობა, ხარისხობრივი მასასიათებლების კვლევა და სერტიფიცირება წარმოადგენს“.


სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ეროვნული ინსტიტუტია, რომელიც მცენარეთა გენეტიკური რესურსების ეროვნულ კანონმდებლობაზე პასუხისმგებელი, მონაწილეობს გლობალური და/ან რეგიონული დებულებების შემუშავებასა და განხორციელებაში, ასევე, საერთაშორისო კვლევით საქმიანობაში, რომელიც მიზნად ისახავს მცენარეთა გენეტიკური რესურსების

კონსერვაციას, დახასიათებას, დოკუმენტაციას და გამოყენებას.

თამარი, გუნდთან ერთად, ძირითადი საქმიანობის პარალელურად, მუშაობს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო პროექტზე „კლიმატის ცვლილებებთან ადაპტირებული ტრადიციული ჯიშების შენარჩუნება ფერმერულ მეურნეობებში და in-situ/on-farm და ex-situ კონსერვაციის ფორმებს შორის კავშირის გაძლიერება“, რომელსაც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) აფინანსებს.

მეცნიერს, 2004 წელს, ნ. ვავილოვის სახელობის საერთაშორისო სტიპენდია მიენიჭა; არის საერთაშორისო ორგანიზაციების ეროვნული პასუხისმგებელი პირი საქართველოში, რომელიც მცენარეთა გენეტიკური რესურსების შესახებ საქმიანობას ახორციელებს.

თამარის თქმით, წარმატების საიდუმლო მარტივია - „იშრომე მოთმინებით და თავდაზოგავად, გვეროდეს შენი შესაძლებლობების და უკან არასდროს დაიხიო“.



გეოლოგიის კუთხით, სააგენტოს საქმიანობა ახორციელდება 4 ძირითადი მიმართულებით: გეოლოგიური მონიტორინგი (გაზაფხული-შემოდგომა) და ფორს-მაჟორულ სიტუაციაში სტიქიური გეოლოგიური პროცესების შეფასება, თბილისის ტერიტორიაზე გეომონიტორინგი და გეოლოგიური საფრთხეების ზონირების რუკის შედგენა/განახლება, მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი და სახელმწიფო გეოლოგიური რუკების შედგენა.

## საინფორმაციო ბიულეტენი „საქართველოში 2023 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2024 წლისთვის“

საქართველო, სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების მასშტაბით, ტერიტორიის დაზიანებადობის ხარისხით და საშიშროების რისკის მიხედვით მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურულ ობიექტებთან მიმართებაში, მსოფლიოს მთიან მხარეთა ერთ-ერთ რთულ რეგიონს განეკუთვნება. დღეისათვის, საქართველოში ერთადერთი სახელმწიფო სტრუქტურა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოა, რომელიც ფოკუსირებულია ბუნებრივი საფრთხეების, მათ შორის, სტიქიური გეოლოგიური მოვლენების იდენტიფიცირების, კვლევების და მართვის საკითხებზე.

გარემოს ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას მიეკუთვნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დოკუმენტის - საინფორმაციო გეოლოგიური ბიულეტენის მომზადება. სააგენტოს სპეციალისტები აღნიშნულ ბიულეტენს ყოველწლიურად ამზადებენ. საინფორმაციო ბიულეტენში ასახულია გეოლოგიური მონიტორინგის და სტიქიის ექსტრემალური გააქტიურების პერიოდში ჩატარებული კვლევების შედეგად დამუშავებული გეოლოგიური საფრთხეების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა და სხვა.

გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ უკვე მომზადდა საინფორმაციო ბიულეტენი „საქართველოში 2023 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2024 წლისთვის“,

რომელიც მოიცავს ინფორმაციას ქვეყნის ტერიტორიაზე იდენტიფიცირებული გეოლოგიური პროცესებით დაზიანებული იმ უბნების შესახებ, სადაც დამცავი ღონისძიებების გასატარებლად გაცემულია რეკომენდაციები.

როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი მერაბ გაფრინდაშვილი განმარტავს, საინფორმაციო ბიულეტენში გაანალიზებული და განზოგადებული, დამუშავებული და შეჯამებულია წლის განმავლობაში მიღებული რეგიონული მონიტორინგისა და ფორს-მაჟორულ ვითარებაში მოპოვებული ინფორმაცია და საფონდო მასალა, ასევე ცალკეულ მხარეებში, სხვა მიმართულებით გეოლოგიური კვლევების პერიოდში მიღებული ინფორმაცია.

ბიულეტენს ახლავს გეოლოგიური საფრთხეების სპეციალიზებული რუკები, საქართველოს ცალკეული მხარეებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით.

ბიულეტენში ასახული ინფორმაცია უმნიშვნელოვანესია განვითარებული სტიქიური გეოლოგიური პროცესების მართვისთვის, რაც გულისხმობს შესაბამისი უწყებების მიერ სწრაფ და კოორდინირებულ მუშაობას, სალიკვიდაციო სამუშაოებში მათ მყისიერ ჩართულობას და მოსახლეობის დროულ ინფორმირებას.

გასულ წელს, განხორციელებული გეოლოგიური კვლევების შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა 886 ვიზუალური საინფორმაციო-გეოლოგიური დასკვნა მოამზადეს; შეფასდა 1545 დასახლებული პუნქტი; 3972 საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო ნაკვეთი. ასევე, შეფასდა და შესაბამისი რეკომენდაციები გაიცა 105 ინფრასტრუქტურულ ობიექტზე. აღსანიშნავია, რომ სტიქიის ზონებში, საკარმიდამო ნაკვეთების, საცხოვრებელი სახლებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების წინსწრებით შეფასება წარმოადგენს წინასწარი გაფრთხილების სისტემის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს.

სააგენტოს სპეციალისტების მიერ მომზადებული საინფორმაციო გეოლოგიური ბიულეტენი ყველა შესაბამის უწყებაშია გაგზავნილი. დაინტერესებულ პირებს დოკუმენტის გაეცნობა გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე <https://www.nea.gov.ge> შეუძლიათ.







**ქართული ღვინის კოკულარიზაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობისათვის განაცხადების მიღება დაიწყო**

პროგრამით სარგებლობა შეუძლია ყველა კომპანიას, რომელიც ანარმობებს ღვინის ექსპორტს საზღვარგარეთ და ქართული ღვინის პოპულარიზაციისათვის მარკეტინგულ აქტივობებს სტრატეგიულ ბაზრებზე ახორციელებს.

მიმდინარე წლის პროგრამაში შემდეგი სახის ცვლილებები შევიდა:

კომპანიას შეუძლია მოითხოვოს 300 000 ლარამდე ანაზღაურება მის მიერ შერჩეულ 2 რეგიონზე ან როგორც ადრე, კვლავ გააკეთოს განაცხადი, ჯამურად, ყველა რეგიონში ექსპორტირებულ ღვინოზე.

ანაზღაურების მისაღებად, აუცილებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ აუდიტორების/აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული არაუმეტეს მეოთხე კატეგორიის, ხოლო მცირე ზომის მარნის შემთხვევაში - არაუმეტეს მეხუთე კატეგორიის პირის მიერ გაცემული ანგარიში, შესაბამის საანგარიშო პერიოდებში, განუვლი მარკეტინგული ხარჯების ოდენობების შესახებ.

**პროგრამაში მონაწილეობისათვის საჭიროა წარმოადგინოთ:**

- შევსებული განაცხადის ფორმა
- უფლებამოსილი პირის პირადობის

მონაწილის ასლი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

- ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთა (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)
- ცნობა ან/და შედარების აქტი სსიპ შემოსავლების სამსახურიდან დავალიანების არქონის შესახებ
- საბანკო რეკვიზიტები.

**განაცხადები მიიღება 2024 წლის 30 აგვისტომდე.**

დეტალური ინფორმაციისათვის ენვეთ ღვინის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდს: <https://wine.gov.ge/Ce/Programs/4>

**ბოლნისის დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის ფესტივალი**

ივნიში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე ბოლნისის დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის ფესტივალს დაესწრო. ფესტივალი, რომლის ერთ-ერთი მხარდაჭერი ღვინის ეროვნული სააგენტოა, ასოციაციის „ღვინო ბოლნისი“ ინიციატივით უკვე მეორედ გაიმართა და მასში, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, 50-მდე ღვინის მწარმოებელმა მიიღო მონაწილეობა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, იური ნოზაძემ წარმატება უსურვა ფესტივალს, მონაწილეებს და ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობი ღონისძიებების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის ნომერ პირველი ამოცანაა



ქართული ღვინის ბაზრების დივერსიფიკაცია და ალტერნატიული ბაზრების მოძიება. ამ მიზნის მისაღწევად, ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი ფესტივალები, რომლებიც ხელს უწყობს ღვინის პოპულარიზაციას. ბოლნისის დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ფესტივალი განსხვავდება სხვა ფესტივალებისგან იმ თვალსაზრისით, რომ ის მხოლოდ ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებს მასპინძლობს, თუმცა, პოპულარიზაცია უნებს როგორც



ზოგადად ქართულ ღვინოს, ისე, რა თქმა უნდა, ადგილწარმოშობის ღვინოებს. იმედი მაქვს, რომ ფესტივალი ტრადიციულ სახეს მიიღებს და ყოველწლიურად გაიმართება. სამინისტრო და ღვინის ეროვნული სააგენტო, თავის მხრივ, გააგრძელებს ფესტივალის მხარდაჭერას“, - აღნიშნა იური ნოზაძემ.

ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, ფესტივალს სპეციალურად მოწვეული სომეხი ღვინის ექსპერტები და ჰორეკას სექტორის წარმომადგენლები სტუმრობდნენ.



ღვინისათვის, საქართველოში 29 ადგილწარმოშობის ღვინო რეგისტრირებული, რაც ქართული ვაზის ჯიშებისა და ღვინოების მრავალფეროვნებასა და უნიკალურობაზე მიუთითებს.

ფესტივალის ფარგლებში ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) სტანდარტებით ჩატარდა ადგილწარმოშობის ღვინოების კონკურსი. კონკურსზე წარდგენილი 51 კომპანიის 88 ნიმუშიდან 10-მა ოქროს, ხოლო 38-მა ვერცხლის მედალი მიიღო. ფესტივალზე, გამარჯვებული ღვინოებს, საზეიმო ვითარებაში, ჯილდოები გადაეცათ.

**ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, საქართველოს ბრიტანელი ღვინის პროფესიონალები სტუმრობდნენ**

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Swirl Wine Group“ ორგანიზებით, ღვინის პროფესიონალების 12-კაციანი ჯგუფი საქართველოში იმყოფებოდა.

ბრიტანელი იმპორტიორების, საცალო მოვაჭრეების, ბაიარებისა და სომეხებისგან შემდგარი ჯგუფი ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს კახეთში ეწვივნენ, სადაც სხვადასხვა სახის ქართული ღვინო დააგემოვნეს. თბილისში გამართულ სპეციალურ დეგუსტაციაზე ბრიტანელი სტუმრები 20 კომპანიის



სხვადასხვა დასახელების ღვინოს გაეცნენ.

„აღფრთხილებული ვიყავი ქართული ღვინის ისტორიით; ამიტომ, წარმოდგენა მქონდა ქართული ტრადიციული წესით ქვევრში დაყენებულ ღვინოზე. საქართველოში მართლაც საუცხოო ღვინოებია, აქ არიან საუკეთესო ღვინის მწარმოებლები, რომლებიც ღვინოს ჯერ



კიდევ უნარჩუნებენ ქართულ ორიგინალურ, ავთენტიკურ სახასიათო თავისებურებას. ახლა მე შემიძლია, სახლში დაბრუნებულმა, ჩემს ხალხს გავაცნო ქართული ღვინო, რომელიც აქ აღმოვაჩინე“, - აღნიშნა ჯგუფის წევრმა, მაიკ ბოინმა.

დიდი ბრიტანეთი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმპორტიორი და ღვინის მომხმარებელი



ქვეყანაა, რომელიც 2014 წლიდან გამოიკვეთა როგორც ქართული ღვინის ექსპორტის ერთ-ერთი პოტენციურად მხარდი სტრატეგიული ბაზარი. დიდი ბრიტანეთის ბაზარზე დამკვიდრების მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტო ღვინის მაგისტრის, სარა ებოტის კომპანიასთან „Swirl Wine Group LTD“ 2015 წლიდან თანამშრომლობს. მიმდინარე წლის იანვარ-მაისში, ბრიტანეთში ექსპორტირებული იყო 142 ათასი ლიტრი ღვინო; ზრდამ, 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 12% შეადგინა.

**ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, საქართველოს იაპონელი ღვინის პროფესიონალები სტუმრობდნენ**

საქართველოს იაპონელი ღვინის მაგისტრი კენიჩი ოჰაში და იაპონელი ღვინის პროფესიონალების ჯგუფი სტუმრობდა. ტურის ფარგლებში, სტუმრები კახეთში ღვინის კომპანიებსა და მარნებს ეწვივნენ, სადაც სხვადასხვა დასახელების ქართული ღვინოები დააგემოვნეს და ქვევრის დამზადების ტექნოლოგიას გაეცნენ.



10-კაციანი ჯგუფის შემადგენლობაში ღვინის იმპორტიორები და მედიის წარმომადგენლები შედიოდნენ. ტურის მონაწილეები შთაბეჭდილებებსა და შეფასებებს იაპონურ გამოცემებსა და სხვადასხვა ბლოგზე განათავსებენ, რაც ხელს უწყობს ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო დონეზე.

კენიჩი ოჰაში ერთადერთი ღვინის მაგისტრია იაპონიაში, რომელიც ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორ მარკეტინგულ კომპანიის „Red Bridge“ ხელმძღვანელობს.

საქართველოში ვიზიტის დროს, კენიჩი ოჰაში ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენის WinExpo Georgia 2024 ფარგლებში გამართული კონკურსის Georgia International wine Award ჟიურის წევრიც იყო.

აღსანიშნავია, რომ იაპონია ქართული ღვინის ერთ-ერთი სტრატეგიული საქსპორტო ბაზარია. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, იაპონურ ბაზარზე ქართული ღვინის პირველი

მასშტაბური წარდგენა 2014 წელს მოხდა. მას შემდეგ, სახელმწიფოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის კომპანიები მუდმივად მონაწილეობენ პრესტიჟულ საერთაშორისო გამოფენებში Foodex Japan და Wine and Gourmet Japan, ტარდება ქართული ღვინის წარდგენა-დეგუსტაციები იაპონიის სხვადასხვა ქალაქში, იაპონელი ღვინის პროფესიონალებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის ეწყობა ღვინის ტურები საქართველოს ყველა რეგიონში.







### შვეიცარიაში, ქალაქ ციურიხში მდებარე მუზეუმში ORTSMUSEUM HONGG ეთნოგრაფიული გამოფენა „საქართველო-8000 მოსავალი“ საგვიმოდ დაიხურა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და ორგანიზებით, ეთნოგრაფიული გამოფენა „საქართველო-8000 მოსავალი“ შვეიცარიაში მოეწყო. გამოფენის კონცეფციის გათვალისწინებით, სამუზეუმო სივრცეში წარმოდგენილი იყო ქართული მარნისთვის დამახასიათებელი ატრიბუტები, მათ შორის ქვევრიც. ასევე, სააგენტოს ბალანსზე არსებული სამუზეუმო ექსპონატების 8 ასლი.

გამოფენა 2022 წლის 7 მაისს გაიხსნა და 6 თვის განმავლობაში უნდა გაგრძელებულიყო, თუმცა

მუზეუმის ხელმძღვანელობის თხოვნით, საბოლოო ჯამში, ექსპოზიცია 2 წლის განმავლობაში გაგრძელდა და 2024 წლის ივნისში საზეიმოდ დაიხურა.

ღონისძიება ციურიხში გაიმართა და 1000-ზე მეტი მოწვეული სტუმარი დაესწრო. დახურვის ცერემონია ჯამისა და თეატრალური პერფორმანსის თანხლებით გაიმართა. წვეულებაზე დამსწრე საზოგადოებას საშუალება ჰქონდა დაეგემოვნებინა ქართული ღვინო და ნაციონალური კერძები. ღონისძიების თანაორგანიზატორი ღვინის ეროვნული სააგენტოს პარტნიორი კომპანია „ქართული ღვინის სახლი“ იყო.



### ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა იაპონიაში

იაპონიაში საქართველოს დღეების ფარგლებში, ტოკიოს იოიოგის ცენტრალურ პარკში, ქართული ღვინის მასშტაბური ფესტივალი გაიმართა. იაპონიის ბაზარზე ქართული ღვინის იმპორტიორებმა ქართული ღვინის 9 კომპანიის 12-ზე მეტი დასახელების ქართული ღვინო წარადგინეს.



ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაციას იაპონელი სომელიე რიუნოსუკე იოშიჰარა (Ryunosuke Yoshihara) უძღვებოდა.

აღსანიშნავია, რომ იაპონია ქართული ღვინის ერთ-ერთი სტრატეგიული საქსპორტო ბაზარია. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, იაპონურ ბაზარზე ქართული ღვინის პირველი მასშტაბური წარდგენა 2014 წელს მოხდა. მას შემდეგ, სახელმწიფოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის კომპანიები მუდმივად მონაწილეობენ პრესტიჟულ საერთაშორისო გამოფენებში Foodex Japan და Wine and Gourmet Japan. ქართული ღვინის წარდგენა-დეგუსტაციები იმართება იაპონიის სხვადასხვა ქალაქში, იაპონელი ღვინის პროფესიონალებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის, საქართველოს ყველა რეგიონში, ეწყობა ღვინის ტურები.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, იაპონიაში საქართველოს საელჩოს და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით, ქართული ღვინის ფესტივალი ტოკიოში უკვე მეორედ ჩატარდა.



### ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, აშშ-ში საფერავის მესამე ფესტივალი „საფერიკა“ გაიმართა

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი ორგანიზაციის „საფერიკა“ ორგანიზებით, ნიუ-იორკის შტატის, ფინგერ ლეიკსის რეგიონში, საფერავის ორდღიანი ფესტივალი „საფერიკა“ გაიმართა.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა კომპანიის მიერ წარმოებული საფერავის ჯიშის ღვინოები, როგორც საქართველოდან, ისე ფინგერ ლეიკსის რეგიონიდან. აღსანიშნავია, რომ ნიუ-იორკის შტატში, ფინგერ ლეიკსის რეგიონში, უკვე 60 წელია, ადგილობრივ ღვინის მწარმოებლებს საფერავისა და რქაწითლის ჯიშების ყურძენი აქვთ გაშენებული და მსოფლიოში ცნობილი ქართული ვაზის ჯიშის ღვინოებს აწარმოებენ.

ფესტივალზე მოწვეული იყვნენ „საფერიკას“ ღვინის ექსპერტები, ღვინის ინდუსტრიის, HoReCa სექტორისა და მედიის წარმომადგენლები და ღვინის მომხმარებლები.

სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ქართული ღვინო, გაცნობოდნენ ქართულ სამზარეულოს, მიეღოთ ინფორმაცია როგორც საფერავის და ზოგადად, ქართული ვაზის ჯიშების, ასევე საქართველოსა და ქართული მეღვინეობის 8 ათასწლიანი ისტორიისა და კულტურის შესახებ.

ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული კომპანიის „ColangeloPartners“ ორგანიზებით, ფესტივალს იმპორტიორების, დისტრიბუტორების და სომელიეების ჯგუფი დაესწრო, ხოლო კომპანიის „ColangeloPartners“ ქართული ღვინის პოპულარიზაციის კამპანიის მეწვეურმა, მერიონ პელუიმ ქართული ღვინის კულტურისა და თანამედროვე ინდუსტრიის შესახებ პრეზენტაცია გამართა.

ორგანიზაცია „საფერიკა“ 2022 წელს, აშშ-ში დაარსდა და მისი მიზანი აშშ-ის მასშტაბით ქართული ყურძნის

ჯიშების, მათ შორის, საფერავის და ქართული ღვინის სახეობების პოპულარიზაციაა. ფესტივალი „საფერიკა“, პირველად, 2022 წელს ჩატარდა.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენს ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზარს, რომელიც ქართული ღვინისთვის ერთ-ერთი ყველაზე მაღალფასიანი სეგმენტია - ერთი ლიტრის ქართული ღვინის საშუალო ფასი 6,15 აშშ დოლარია. შესაბამისად, აშშ-ში ქართული ღვინის პოპულარიზაციის ღონისძიებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება: ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიება აქტიურად ხორციელდება. აღნიშნულმა აქტივობებმა უზრუნველყო ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის ზრდა აშშ-ის ბაზარზე; მიმდინარე წლის იანვარ-მაისში საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებულია 486 ათას ლიტრამდე ღვინო, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 66%-ით აღემატება. აშშ ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების სიაში მე-6 ადგილს იკავებს.



### ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ბრუსელში ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია გაიმართა

ბელგიის დედაქალაქ ბრუსელში, ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია - Georgian Natural Wine Day (ქართული ბუნებრივი ღვინის დღე) გაიმართა, რომელზეც სხვადასხვა სახეობის 10 ქართული ღვინო იყო წარდგენილი.



დეგუსტაციას 1000-მდე სტუმარი, მათ შორის, ჟურნალისტები, ბლოგერები, კომერციული სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ღონისძიება ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „FLOW SRL“ ორგანიზებით გაიმართა.

ქართული ღვინის მსგავსი მასშტაბური წარდგენა ბრუსელში მიმდინარე წლის ივნისის ბოლოსაც გაიმართა, რაც ხელს უწყობს ცნობადობის ამაღლებას და საქსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციას.

ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას საერთაშორისო ბაზრებზე

ქართული ღვინის პოპულარიზაცია წარმოადგენს. სააგენტო ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ფარგლებში, 2013 წლიდან, ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით, მიზანმიმართულ სარეკლამო-მარკეტინგულ კამპანიებს აშშ-ში, ევროპისა და აზიის ქვეყნებში ახორციელებს.







**აშშ-ში, გამოფენაზე „VINEXPO AMERICA“ ქართული ღვინო 20-მა კომპანიამ წარადგინა**

ნიუ-იორკში, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაზე „Vinxpo America“ ქართული ღვინის მწარმოებელმა კომპანიებმა საკუთარი პროდუქცია ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით წარადგინეს.

მსგავსი მასშტაბის საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობა ღვინის ბაზრების დივერსიფიცირებისა და ექსპორტის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.



„Vinxpo America“-ში მონაწილეობით, ქართულ კომპანიებს შესაძლებლობა ეძლევათ, მსოფლიოს ღვინის ბაზარზე არსებულ ახალ ტენდენციებს და გამოწვევებს გაეცნონ, მოიძიონ სავაჭრო პარტნიორები ამერიკის შეერთებული შტატებში, რომელიც ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს და სადაც განსაკუთრებით მაღალია ღვინის ხარისხის სტანდარტები. გამოფენას საქართველოს გენერალური კონსული ნიუ-იორკში, მაია ბარათია დაესწრო.



გამოფენის დღეებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული კომპანიის „ColangeloPartners“ ორგანიზებით, ქართული ღვინის დეგუსტაცია ადგილობრივი ღვინის პროდუქციონალებისთვის გაიმართა. აღსანიშნავია, რომ, ბოლო წლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით განხორციელებულმა ღვინის დეგუსტაციებმა ხელი შეუწყო აშშ-ში ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდას, რაც კონკრეტულ შემთხვევებზე აისახა. მიმდინარე წლის იანვარ-მაისში



საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებულია 486 ათას ლიტრამდე ღვინო, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 66%-ით აღემატება. აშშ ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების სიაში მე-6 ადგილს იკავებს. აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ქართული ღვინისთვის ერთ-ერთი ყველაზე მაღალფასიანი სუბმენტი - ერთი ლიტრის ქართული ღვინის საშუალო ფასი 6,15 აშშ დოლარია.



**ქართული ღვინის მწარმოებელი 12 კომპანია ჩინეთის საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობდა**

ჩინეთის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 12 კომპანიის პროდუქცია სინძიანის პროვინციის ქალაქ ურუმჩიში, გამოფენაზე „The 8th Eurasia Expo“ იყო წარმოდგენილი.



გამოფენა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს და კომერციის სამინისტროს პატრონაჟით ჩატარდა და მასში 70 ქვეყნის 12 ათასამდე წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. გამოფენას ყოველწლიურად 2 მილიონი ვიზიტორი სტუმრობს, რაც ქართული ღვინის მწარმოებლებს აძლევს საუკეთესო შესაძლებლობას, აზიის ღვინის ბაზარზე პოტენციურ პარტნიორებთან დაამყარონ საქმიანი ურთიერთობები.



აღსანიშნავია, რომ ჩინეთი ქართული ღვინის ერთ-ერთი გამოკვეთილი სტრატეგიული ბაზარია, სადაც ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის გაზრდის მიზნით, 2013 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს მარკეტინგული კამპანია. ღვინის ეროვნული სააგენტო, ქართული ღვინის მარკეტინგული კამპანიის განსახორციელებლად, ჩინეთის ბაზარზე მარკეტინგულ კომპანიასთან „Meiburg Wine Media“ და ღვინის მაგისტრ ქესიდი დარტთან თანამშრომლობს.



**პოლონეთის დადაქალაქ ვარშავაში, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „PEOPL.PR“ ორგანიზებით და პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის დეგუსტაცია „GEORGIAN WINE GRAND TASTING“ გაიმართა**

დეგუსტაციაზე 20-ზე მეტი ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიის 100-მდე ღვინო იყო წარმოდგენილი.

ღვინის დეგუსტაციაზე 200-ზე მეტი სტუმარი, მათ შორის, უმრავლესობა, ბლოგერები, კომერციული სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა პოლონეთის რესპუბლიკაში მიმდინარე წლის ივლისის თვეშიც გაიმართება. მსგავსი ტიპის ღვინის დეგუსტაციები ხელს უწყობს ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლებას

და საქეპორტო ბაზრების დივერსიფიკაციას. პოლონეთი ქართული ღვინის პრიორიტეტული საქეპორტო ბაზარია, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტო ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 2013 წლიდან, აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა სახის სარეკლამო-მარკეტინგულ კამპანიას.

2024 წლის იანვარ-მაისის პერიოდში, პოლონეთის რესპუბლიკაში ექსპორტირებულია 2,6 მლნ ლიტრი ქართული ღვინო, რაც 23%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.



**ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, 2024 წლის 11 ივნისს საფრანგეთში, ელზასის რეგიონის ღვინის მწარმოებელთა გაერთიანებაში „DOMAINE ROLLY CASSMANN“ ქართული ღვინის პროფესიული დეგუსტაცია და პრეზენტაცია გაიმართა**

ღვინის დეგუსტაციაზე 150-მდე მოწვეული სტუმარი დაესწრო, მათ შორის ღვინის დარგის ადგილობრივი ექსპერტები, პორეკა სექტორის წარმომადგენლები, იმპორტიორები, დისტრიბუტორები, ენოლოგები, სომელიეები, ღვინის ტურიზმის სექტორის წარმომადგენლები, უმრავლესობა, ბლოგერები და ინფლუენსერები. ღვინის დეგუსტაცია ასევე დაესწრო საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ევროპის საბჭოში, ელჩი თამარ ტალიაშვილი. ქართული ღვინის პროფესიული დეგუსტაცია და პრეზენტაცია გაიმართა ფილმის „საქართველო ღვინის აკადემია“ ჩვენებით, რის შემდეგაც, დეგუსტაციას წარუძღვა ღვინის ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარე, ანა გოდაბერიძე.

სტუმრებმა დეგუსტაციაზე დააგემოვნეს ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიების 10 დასახელების ნიმუში.

დეგუსტაციის დასრულების შემდგომ, სტუმრებმა ასევე დააგემოვნეს ფრანგული ნაციონალური კერძები, რომელიც შეხამებული იყო წარმოდგენილ ქართულ ღვინოებთან. ღვინის დეგუსტაციის ფარგლებში, შეხვედრა გაიმართა ელზასის რეგიონის ღვინის მწარმოებელთა ასოციაციის პრეზიდენტ ჟან-პოლ შმიტთან, რომელმაც აღნიშნა, რომ ზოგადად ფრანგული საზოგადოებისა და ელზასელი მეღვინეებისთვის ქართული ქვეყნის ღვინო დიდი აღმოჩენაა და ისინი ძალიან მოიხიბლნენ წარმოდგენილი ღვინის ხარისხითა და მიღებული ინფორმაციით.





## ესთერე საქართველოს ეროვნულ პარკებს

ზაფხულის ცხელ დღეებში, საქართველოს ეროვნული პარკები საინტერესო მოგზაურობას გპირდებათ. თბილისიდან სულ რაღაც 1 საათის სავალ გზაზე, მანგლისში, ალგეთის ეროვნული პარკი ვიზიტორებს დაუვიწყარ თავგადასავალს სთავაზობს

### ალგეთის ეროვნული პარკი



ალგეთის ეროვნულ პარკში მოგზაურობა, ოჯახთან და მეგობრებთან ერთად, წლის ნებისმიერ დროს დაუვიწყარი და სასიამოვნოა. ზღვის დონიდან 1100 - 1950 მეტრი, ჰორიზონტამდე გადაშლილი მდელოები, ცამდე აზიდული მთები, კანიონები, ჩანჩქერები, წითელ-ყვითელი ულრანი ტყეები, ულამაზესი ფიჭვნარი და უძველესი ისტორია - ეს ალგეთის ეროვნული პარკის მცირედი ნაწილია. მდინარე ალგეთის ხეობისა და შერეული ტყით დაფარული მთების ხედებთან ერთად წალკის (დაშბაში), ბირთვისისა და სამშვილდის კანიონების ბუნების ძეგლების და კლდეკარის ციხე-სიმაგრეს ნახვაც შეგიძლიათ.

გაძლევეთ შესაძლებლობას, ვიზიტორთა ცენტრიდან გაუსვლელად, დრო სასიამოვნოდ და საინტერესოდ გაატაროთ.

ეროვნული პარკის მთავარი შესასვლელი მანგლისის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძართან მდებარეობს. აქედანვე იწყება 16 კილომეტრიანი, წრიული ტურისტული ბილიკი „სამეფო ქედი“, რომელიც საპიკნიკე ადგილის მიმართულებით, ულამაზესი მართალხევის გავლით, სოფელ დიდ ნამტვრისამდე გრძელდება. ფეხით მოყვარულთათვის გასათვალისწინებელია, რომ ბილიკი 5-6 საათის გზას მოიცავს, რომელიც საოცარ ხედებს გთავაზობს. ბილიკზე არსებული გადმოსახედებიდან დანახული ალგეთის ეროვნული პარკის ხეობა და შერეული ტყით დაფარული მთაგორიანი ხედები წარმოუდგენელი შთაბეჭდილებებით აგავსებთ. ბილიკზე მოგზაურობისას კი, არც მეტი, არც ნაკლები, შეიძლება შეგხვდეთ შველი, კურდღელი, გარეული ღორი და რამდენიმე სახეობის გარეული ფრინველი.

თუ გსურთ, ოჯახის წევრებთან ან მეგობრებთან ერთად დრო სასიამოვნოდ გაატაროთ, საქართველოს ულამაზესი ბუნება ნახოთ და კიდევ ერთი თავგადასავალი შეიქმნათ, აუცილებლად დაგეგმეთ სალაშქრო ტურები ალგეთის ეროვნულ პარკში.







### გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2024 წლის 6 თვეში 4 955 გარემოსდაცვითი სამართალდარღვევა გამოავლინეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლს (გარდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიაღის სარგებლობის ლიცენზიის პირობების შესრულების კონტროლისა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში. დეპარტამენტისთვის გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა პრიორიტეტია. ეფექტური სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიზნით, დეპარტამენტის თანამშრომლები, ქვეყნის მასშტაბით 24 საათიან, უწყვეტ პატრულირებას ახორციელებენ, პერიოდულად მასშტაბურ პრევენციულ ღონისძიებებს ატარებენ და სამინისტროს ცხელ ხაზზე (153) შემოსულ შეტყობინებებზე მყისიერ რეაგირებას ახდენენ.

დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 2024 წლის პირველ 6 თვეში, 1 იანვრიდან - 30 ივნისის პერიოდში, 4 955 გარემოსდაცვითი სამართალდარღვევა გამოავლინეს; მათგან 4 620 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტია, 335 ფაქტი კი, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს და მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საგამოძიებო ორგანოებს გადაეგზავნათ.

ყველაზე მეტი - 1 315 ფაქტი უკანონო ტყით-სარგებლობას ეხება; მათგან 582 ტყის კანონმდებლობის დარღვევის, 428 - ხე-ტყის ტრანსპორტირების წესების დარღვევის, 305 კი - სახეობის სააქტოს მიერ ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის ფაქტია. ამავე პერიოდში, გამოვლენილია 77 არარეგისტრირებული სახეობის სააქტო. მიმდინარე წლის პირველ 6 თვეში, დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ასევე, გამოავლინეს ნარჩენების მართვის კოდექსის დარღვევის 1 223, ატმოსფერული

ჰაერის კანონმდებლობის დარღვევის 1 045, თევზჭერისა და ნადირობის წესების დარღვევის 467, წიაღის უკანონო მოპოვების 199, ნებაართვის პირობების დარღვევის/უნებაართვო საქმიანობის 175, მინის კანონმდებლობის დარღვევის 168 და წყლის კანონმდებლობის დარღვევის 144 ფაქტი; ამავე პერიოდში სხვა გარემოსდაცვითი სამართალდარღვევის 219 ფაქტია გამოვლენილი.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა კახეთში 883 გარემოსდაცვითი სამართალდარღვევა გამოავლინეს. 729 ფაქტია აღკვეთილი დასავლეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე. აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე გამოვლენილია 686 ფაქტი. მცხეთა-მთიანეთში - 575, სამეგრელო-ზემო სვანეთში - 465, სამცხე-ჯავახეთში - 413, ქვემო ქართლში - 383, შიდა ქართლში - 353. შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლებმა კი, მიმდინარე წლის 6 თვეში 68 გარემოსდაცვითი სამართალდარღვევა გამოავლინეს.

დედაქალაქში, დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 2024 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით, 400 გარემოსდაცვითი სამართალდარღვევა აღკვეთეს; მათგან 8 სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა და მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის უწყებებში გადაიგზავნა.

მიმდინარე 6 თვის მონაცემებით, სამართალდამრღვევებზე დაკისრებული ჯარიმის ოდენობა 3 429 196 ლარია, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად, გარემოსთვის მიყენებული ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ კი 1 625 186 ლარი შეადგინა.

2024 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე (153), სავარაუდო გარემოსდაცვითი სამართალდარღვევის შესახებ 1 227 შეტყობინება დაფიქსირდა. თითოეულ მათგანზე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირება მოახდინა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, 2023 წლის 4 სექტემბრიდან ქვეყნის 4 დიდ ქალაქში - თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და ბათუმში, გზებზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების ხილული გამონაბოლქვის კონტროლს ახორციელებს. 2024 წლის მხოლოდ 6 თვეში, დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გამოწერილია 3 271 საჯარიმო ქვითარი ხილული გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალების მართვისთვის ან სხვა პირისთვის სამართავად გადაცემისთვის.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კანონმდებლობით დადგენილ ნორმასთან შეუსაბამობისთვის, ფიზიკური პირის შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობა პირველ ჯერზე 100 ლარია, მეორე ჯერზე - 300 ლარი, მესამეზე კი - 600 ლარი. იურიდიული პირის შემთხვევაში ჯარიმა 500, 1500 და 3000 ლარია. ჯარიმის 10 დღის ვადაში გადახდის შემთხვევაში, სამართალდამრღვევს, ჯარიმის ოდენობა, 20%-ით შეუმცირდება.

ჯარიმების გადამონმება მოქალაქეებს შეუძლიათ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ვებგვერდზე: [www.des.gov.ge](http://www.des.gov.ge); ჯარიმის გადახდა შესაძლებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდის - [www.videos.police.ge](http://www.videos.police.ge) საშუალებით.



## ტყეში უსაფრთხო მუშაობის სასწავლო პროგრამა

ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლებისთვის, სლოვენური მეთოდის გამოყენებით, ტყეებში უსაფრთხო მუშაობის შესახებ ფართომასშტაბიანი სასწავლო პროგრამა განხორციელდა.

ადიგენის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაციის სამუშაოები 33 836 ჰა ფართობზე განხორციელდა, მომზადდა ტყის მართვისა და რეკრეაციული განვითარების გეგმები, „საქმიანი ეზო“ ეფექტიანი ოპერირებისთვის საჭირო ტექნიკით აღიჭურვა.

პროექტი „ტყის მდგრადი მართვა ადიგენის მუნიციპალიტეტში“ სლოვენიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, მსოფლიო ბუნების ფონდის (WWF) კავკასიის პროგრამის კონსორციუმის წარმომადგენლობისა და ზავიერ კონსალტინგის მიერ ხორციელდება.

პროექტის ძირითადი მიზნები ადიგენის მუნიციპალიტეტში ტყეების მდგრადი მართვის და გარემოსდაცვითი შეთანხმებებში გაერთიანებული ადგილობრივი თემების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაა.

პროექტის სრული ბიუჯეტი 1,099,940 ევროს შეადგენს. ეროვნული სატყეო სააგენტოს კონტრიბუცია პროექტში 551,500 ევროა, ხოლო სავარაუდო თანხის მოცულობა, ჯამში, 548,440 ევრო.



სწავლება, პროექტის „ტყის მდგრადი მართვა ადიგენის მუნიციპალიტეტში, ფაზა II“ -ის ფარგლებში მიმდინარეობდა. პროექტის ფინანსური მხარდაჭერი საქართველოში სლოვენის რესპუბლიკის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების ცენტრი (CMRS) იყო.

პროექტის მეორე ფაზა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ადიგენის მუნიციპალიტეტში ტყეების

მდგრადი მართვის განვითარებისთვის. საველე სწავლებასთან ერთად, სლოვენური პრაქტიკის გათვალისწინებით, სატყეო გზები, ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა - საფეხმავლო ბილიკები, საბანაკე და საპიკნიკე ადგილები მოეწყობა.

აღსანიშნავია, რომ პროექტის „ტყის მდგრადი მართვა ადიგენის მუნიციპალიტეტში, ფაზა I“-ის ფარგლებში, გასული ორი წლის განმავლობაში,





# მწვანე ბანაკი „კლიმატის ელჩები“ დასრულდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ ორგანიზებული მწვანე ბანაკი „კლიმატის ელჩები“ წარმატებით დასრულდა

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის მოადგილემ, ეკატერინე ბენდელიანმა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) კლიმატური პროგრამის მენეჯერმა, თორნიკე ფულარიანმა ბანაკის მონაწილე 51 ახალგაზრდას სერტიფიკატები გადასცეს.

კონკურსის საფუძველზე შერჩეული ახალგაზრდები საქართველოს სხვადასხვა რეგიონს, მათ შორის, პროგრამის „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ სამიზნე მუნიციპალიტეტებს წარმოადგენდნენ.

მწვანე ბანაკის ფარგლებში, მონაწილეებმა დარგის სპეციალისტებთან ერთად, ბიომრავალფეროვნების, ტყის რესურსების მდგრადი მართვის, ჰიდროლოგიური და გეოლოგიური საფრთხეების და კატასტროფის რისკის შემცირების, საფრთხეების შეფასებისა და რისკის განსაზღვრის თემებზე იმუშავეს. ახალგაზრდები გაეცნენ ინფორმაციას გეოლოგიისა და ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის საქმიანობაზე. განიხილეს დაკვირვების სისტემები, რომლებიც ამინდის პროგნოზირებისთვის და ადრეული გაფრთხილებისთვის გამოიყენება.

მწვანე ბანაკი „კლიმატის ელჩები“ მოეწყო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფართომასშტაბიანი ინიციატივის „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც საქართველოს მოსახლეობის კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფებისგან დაცვას ემსახურება და კლიმატის მწვანე ფონდის (CCF), საქართველოს, შვედეთისა და შვეიცარიის მთავრობების მხარდაჭერით ხორციელდება.

## ლუკა სუმხარაძე

ძალიან საინტერესო დღეები გავატარეთ მწვანე ბანაკში, სადაც შევეხეთ ძალიან ბევრ მნიშვნელოვან

გარემოსდაცვით საკითხს. ჩემთვის, განსაკუთრებით საინტერესოა ბიომრავალფეროვნება, რომელსაც დიდი როლი უკავია კლიმატის ცვლილების პროცესში. გავეცანით ფუტკრების, ჭიანჭველების და ბიომრავალფეროვნების სხვადასხვა წარმომადგენლის როლს. შევეხეთ ისეთ თემებს, რომლებიც საჭიროა ადამიანის გადარჩენისთვის - მინისძვრებთან და ხანძრებთან გამკლავება, როგორ უნდა მოვიქცეთ ბუნებრივი კატასტროფების დროს, რა საფრთხეები, რისკები არსებობს და ა.შ. რაც ძალიან გამოგვაადგება მომავალში.

## ნინო საბინაშვილი

ახალგაზრდები აქტიურად უნდა ჩავერთოთ გარემოსდაცვით აქტივობებში, რადგან ჩვენი ქვეყანა განაპირობებს ჩვენი ქვეყნისა და გარემოს მდგრადობას. მე პირადად, ჩემს რაიონში, წითელი ჯვრის მოხალისე ვარ, ბევრ პროექტში ვიღებ მონაწილეობას და ვცდილობ ჩემი წვლილი შევიტანო უკეთესი გარემოს შექმნაში. ბანაკში ბევრი საინტერესო თემა განვიხილეთ. ჩემთვის გამორჩეული იყო ჰიდროლოგიის შესახებ სესია, სადაც გავეცანი ღრუბლების ტიპებს, ფენებსა და მათ ფუნქციებს, ასევე ამინდის პროგნოზირებასთან დაკავშირებით ისეთ საკითხებს, რაც ჩემთვის აქამდე უცნობი იყო.



## მარიამ თოთაძე

მოგესხებათ, 21-ე საუკუნეში ისეთი საფრთხის წინაშე ვდგავართ, როგორიცაა კლიმატის ცვლილება. ხშირად ვფიქრობ ამაზე, ვნერ სტატიებს, რომლებსაც შემდეგ ვაზრუნავ ჩემს მუნიციპალიტეტში, სკოლაში ვატარებ საინფორმაციო შეხვედრებს ახალგაზრდებთან და გამიჩნდა იდეა მიმელო ისეთ პროექტში მონაწილეობა, სადაც კლიმატის ცვლილების შესახებ უფრო მეტს ვისწავლიდი. ბანაკში, თეორიულ საკითხებთან ერთად, პრაქტიკულ სამუშაოებს გავეცანი. უფრო მეტი გავიგეთ სატყეო საქმის შესახებ - ტყეში პრაქტიკული სამუშაოების ნაწილში გავზომეთ ხეები და დავადგინეთ ასაკი.

## ფურიკო ბრიტაშვილი

ეს პროექტი ძალიან კარგი შესაძლებლობაა გავეცნოთ ბევრ საინტერესო გარემოსდაცვით საკითხს, ისეთებს როგორიცაა: გეოლოგიური საფრთხეები, კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნება. განსაკუთრებულად გამოვარჩევიდი ბიომრავალფეროვნების ლექციას, რომელიც ძალიან დატვირთული იყო და ბევრი ახალი საკითხი გავიგეთ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, „მწვანე ბანაკი“ გვეხმარება ჩვენი მომავალი



პროფესიის არჩევაში.

## ნათა ალაშვილი

ჩემი, როგორც მოქალაქის ვალი არის ის, რომ გავფრთხილდე გარემოს და სხვადასხვა მოვუწოდო გარემოსადმი მეგობრული ქცევის ჩამოყალიბებისკენ. ბანაკში მონაწილეობისას, მიზნად მქონდა ამ მაგალითი ცნობიერება გარემოსდაცვით საკითხებზე და აქ მიღებული გამოცდილება, თანატოლებისთვის გამეზიარებინა. სწორედ ამ მიზნის განხორციელებისთვის, ვგეგმავ ჩავატარო საინფორმაციო შეხვედრები და ლექციები კლიმატის ცვლილებისა და კატასტროფების შესახებ, რათა უფრო მეტ ახალგაზრდას მივაწოდო მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

## ანასტასია ყოჩაშვილი

მწვანე ბანაკი გვეხმარება ცნობიერება ავიმართოთ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების და მასთან გამკლავების შესახებ. ყველა სესია და აქტივობა ჩემთვის საინტერესო იყო, თუმცა გამოვარჩევიდი კატასტროფების დროს უსაფრთხოების წესების შესახებ ლექციას, რომელსაც, ვფიქრობ, ძალიან კარგად გამოვიყენებ და ეს გამოცდილება დამეხმარება ჩემს თემში, სკოლაში თუ ოჯახში სხვადასხვა სივრცეში სიტუაციის დროს.

## მარიამ ჩაბანაძე

ბანაკში მონაწილეობა მინდოდა, რადგან ძალიან მაინტერესებს ეკოლოგიის მიმართულება. ორი თვის განმავლობაში ძალიან საინტერესო ლექციები ჩავიგე, ასევე უფრო დავუმეგობრდი გარემოს და მცენარეებს. ჩემს გარშემო ადამიანებს მოვუწოდებ, უფრო მეტად მოუფრთხილდნენ გარემოს, რადგან როგორც ჩვენ მოვექცევით მას, ისე მოვექცევა გარემო ჩვენ.





# დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სარეველა მცენარეები

დასავლეთ საქართველოს ტენიანი სუბტროპიკული კლიმატი, პერიოდული ყინვიანი ზამთარი, ნალექების უხვი რაოდენობა ხელს უწყობს მცენარეული საფარის და მათ შორის, სარეველა მცენარეების მრავალფეროვნებას. ქვემოთ მოცემულია დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ზოგიერთი სარეველა მცენარის მოკლე დახასიათება.

### ბოსტნის ია - *Veronica persica* Poir



ერთწლიანი, ბალახოვანი მცენარეა მრავალ-ძარღვასებრთა ოჯახიდან; ღერო - მხოხავი, სუსტი, დატოტილი, ცილინდრული, შებუსული, 10-70 სმ სიგრძის; ფოთოლი - მოპირდაპირედ განლაგებული, კვერცხისებრი, ზედა - მკდომარე, დანარჩენი - ყუნწიანი, დაკბილული; ყვავილი - ცისფერი, 15 მმ დიამეტრის, ყვავილობს გაზაფხულ - ზაფხულში; ნაყოფი - კოლოფი, თესლი - მოგრძო, სუსტად დანაოჭებული, სიგრძე - 1.5-2.5 მმ.

### საპონელა - *Anagallis arvensis* L



ერთწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი სარეველაა, განსაკუთრებით შხამიანი ფესვები, რადგან შეიცავს საპონინებს. ფესვი - მთავარღერძა, წვრილი; ღერო - მხოხავი, 5-30 სმ სიგრძის; ფოთლები - მოპირდაპირედ მკდომარე, კიდემთლიანი; ყვავილები - წითელი, ცისფერი ან თეთრი, ვითარდება ფოთლის უბესთან, დიამეტრით 10-15 მმ; ნაყოფი - კოლოფი, მომრგვალო, ერთბუდანი; თესლი - მცირე ზომის; მნიფდება აგვისტოდან ოქტომბრის ბოლომდე.

### გოქმო - *Dipsacus laciniatus* L



ორწლიანი, ბალახოვანი, სარეველა მცენარეა ცხრატყავასებრთა ოჯახიდან; ღერო - სწორი, წახანგოვანი, ეკლიანი, 50-150 სმ სიმაღლის; ფოთლები: ფესვთანური - მოკლეყუნწიანი,

მოგრძო-კვერცხისებრი, ფრთისებრდანაკვეთული ან დაკბილული, ღეროსეული - მკდომარე, მოპირდაპირედ განლაგებული, მოგრძო, ეკლიანი; ყვავილედ - თავაკი, 5-8 სმ სიგრძის; ყვავილი - ღია იასამინისფერი ან თეთრი; სიგრძე - 13 მმ, ყვავილობს ივნის-ივლისში, ნაყოფს იძლევა სექტემბერში.

### ლაკარტია - *Paspalum digitaria* Poir.



მრავალწლიანი, ფესურიანი, ბალახოვანი სარეველა მცენარეა მარცვლოვანთა ოჯახიდან; ფესურა - მოკლე, მხოხავი; ღერო - აღმავალი, 10-50 სმ სიმაღლის; ფოთლები - ხაზურა; ყვავილედ - თავთავი, ყვავილობს აგვისტოდან ოქტომბრის ბოლომდე; კილიანი მარცვალი - კვერცხისებრი, გლუვი, მბზინავი, სიგრძეზე სუსტად დაღარული (დანაოჭებული), ღია ყვითელი, ზოგჯერ ღია ნაცრისფერი, სიგრძე - 2-2.25 მმ, სიგანე - 1.25 მმ; თესლი (მარცვალი) - ოვალურ-კვერცხისებრი, ზურგის მხრიდან ამობურცული, მუცლის მხარეს - შეწეული, ყავისფერი. ასარეველიანებს სიმინდს, ჩაის პლანტაციებს, ბრინჯს. ნესტიან პირობებში მცენარე ავადდება სოკოვანი დაავადებით - ჭვავის რქა (*Claviceps paspali*), პირუტყვი დაავადებული ლაკარტიითი ჭამისას ავადდება „ბანდალათი“.

### აბზინდა - *Artemisia absinthium* L.



მრავალწლიანი, ბალახოვანი, ფესურიანი მცენარეა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან, ახასიათებს სპეციფიკური სუნი და მწარე გემო. ფესვი - ფუნჯა; ღერო - სწორმდგომი, ზედა ნაწილში დატოტილი, ცილინდრული, 1 მ სიმაღლის, მოვერცხლისფრო-ნაცრისფერი; ფოთლები - ფესვთან განლაგებული სამკერ ფრთისებრგანკვეთილია, ღეროს ფოთლები - ორჯერ ფრთისებრგანკვეთილი, ზედა ფოთლები სამნაკვეთიანი ან მთლიანი, მორიგეობით განლაგებული; ყვავილედ - კალათა, სფეროსებრი, 2.5-3.5 მმ დიამეტრით; ყვავილი - ყვითელი, წვრილი, მილისებრი; ყვავილობს ივნის-ივლისში; თესლურა

ყავისფერი, მოგრძო ცილინდრული, 1 მმ; მნიფდება აგვისტო-სექტემბერში. გამოიყენება მცენარეთა დაცვაში, ხალხურ ვეტერინარიასა და მედიცინაში.

### ორკბილა - *Bidens tripartita* L.



ერთწლიანი, ბალახოვანი სარეველაა რთულ-ყვავილოვანთა ოჯახიდან. ფესვი - მთავარღერძა, ძლიერ დატოტილი, წვრილი; ღერო - ერთეული, სწორმდგომი, მოწითალო, 60-90 სმ; ფოთლები - მოპირდაპირედ, მოკლე ყუნწით, სამნაკვეთიანი, ლანცეტისებრი, კიდედაკბილული, შიშველი მუქი მწვანე; ყვავილედ - კალათა, 1.5 მმ დიამეტრის; ყვავილი - ყვითელი; ყვავილობს ივნისის ბოლოდან სექტემბრამდე; თესლურა - უკუკვერცხისებრი, ყავისფერი, 2 ქაჯვით; ჭიბი - შეჭყლეტილი, ოვალური; სიგრძე - ქაჯვების გარეშე 5-8 მმ, სიგანე - 2-3 მმ, ქაჯვების სიგრძე 3-4 მმ; თესლი მნიფდება სექტემბრის ბოლოს ოქტომბერში, ერთ მცენარეზე ვითარდება 250 თესლი.

### ენრის გვიმრა - *Pteridium tauricum* Presl. V. Kreez.



მრავალწლიანი, სპოროვანი, ფესურიანი, ძნელად აღმოსაფხვრელი მცენარეა გვიმრასებრთა ოჯახიდან, რომლის სიმაღლე 2 მ-მდე აღწევს. ფესურა - მხოხავი; ფოთოლი - 2-3-ჯერ ფრთის-ებრდანაკვეთული; ქვედა მხარე წითური ხშირი ბუსუსებითაა შებუსული; მრავლდება ფესურითა და სპორებით. სპორები ივლის-აგვისტოში მნიფდება.

### ლიკოპოდიუმი - *Lycopodium clavatum* L.



მრავალწლიანი, მრადმწვანე, ბალახოვანი მცენარეა ლიკოპოდიუმისებრთა ოჯახიდან, სიმაღლით 30-50 სმ; ღერო და ტოტები მრავალრიცხოვანი, წვრილი, ლანცეტა ფოთლებით აქვს დაფარული, გრძელი, მხოხავი ღეროები მინაზე თოკების მსგავსად დევს და ალაგ-ალაგ ფესვებითაა მიმაგრებული; ღეროს სიგრძე - 1-3 მ, ღეროზე ამოდის განსაკუთრებული, მოგრძო, 2-3 თავთავისებრი წარმონაქმნით დაბოლოებული ტოტები, ამ თავთავებში სპორები ივლის-აგვისტოში მნიფდება.

### მთის ჩადუნა - *Dryopteris filix mas* (L.) Schott.



გვიმრასებრთა ოჯახის წარმომადგენელია, 1 მ-მდე სიმაღლის სპოროვანი, ფესურიანი, მრავალწლიანი მცენარეა, ფესურა კარგად აქვს განვითარებული და ძველი ფოთლების ყუნწების ძირებსა და მრავალ თხელმწიან ქერქშია გახვეული, მინის ზემოთ განვითარებული ღერო არ გააჩნია; ფოთლები - დიდი ზომის, კენტფრთართული, ფესვის ყელთან ჯგუფურადაა შეკრებილი, ახალგაზრდა ფოთლები სპირალურადაა დახვეული და ზრდისას თანდათან სწორდება, ძლიერ შხამიანი მცენარეა; მცენარეთა დაცვაში გამოიყენება ნემატოდების წინააღმდეგ.

### ოქროსკვება - *Solidago virgaurea* L.



მრავალწლიანი, ფესურიანი, ბალახოვანი სარევე-ლაა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან. ღერო - სწორმდგომი, შეფოთილი, შებუსული, 30-100 სმ სიმაღლის; ფოთლები - მორიგეობითი, ელიფსური, კიდედაკბილული; ყვავილედ - კალათა, 10-15 მმ; ყვავილი - ყვითელი, ყვავილობს მაისიდან სექტემბრამდე, თესლი მნიფდება ივნისიდან ოქტომბრის ბოლომდე; თესლურა - ცილინდრული, 3-4 მმ, შებუსული, მუქი ფერის ქოჩრით 4-5 მმ სიგრძის. ყვავილის მტვერი ალერგიის გამომწვევია.

### ტყის ჭორტანა, კომელინა - *Commelina communis* L.



ერთწლიანი, ბალახოვანი მცენარეა; ფესვი - ფუნჯა; ღერო - დატოტილი, მხოხავი, 15-40 სმ-მდე სიმაღლის; ფოთლები - კვერცხისებურ-





ლანცეტისებრი, მკდომარე, მორიგეობით განლაგებული; ყვავილი - ცისფერი; ყვავილობს ივნის-აგვისტოში; ნაყოფი - ორბუდიანი კოლოფი; თესლი - კვერცხისებრი, სამწახნაგოანი, ბორცვიანი ზედაპირით, მონაცრისფრო - ყავისფერი, სიგრძე - 2.5-3.5 მმ, სიგანე - 1.5-2.5 მმ. ასარევიანებს ხორბლეულს, წინიბურას, სელს, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურებს, ბოსტანს, ბაღებს.

**შვიტა - Equisetum L.**



მრავალწლიანი, ბალახოვანი, ფესურიანი მცენარეა შვიტასებრთა ოჯახიდან; იზრდება ნოტიო ნიადაგზე; ფესურა - მცოცავი, რუხი მოშავო; ღერო - მკრთალი ნაბლისფერი, 15-30 სმ სიმაღლის; ყვავილები არ აქვს; მრავლდება ფესურით და სპორებით, რომლებიც აპრილ-მაისში მნიფდება; თითქმის მთელ საქართველოშია გავრცელებული; ძნელად ამოსაძირკვი საჩვენებელია.

**ჩაქვის ბალახი - Pollinia imberbis Nees**



ერთწლიანი საჩვენებელი მცენარეა მარცვლოვანთა ოჯახიდან, აქვს გრძელი, წვრილი ფესვები; ღეროს სიგრძე - 40-100 სმ, დატოტვილი, აღმავალი, შეუბუსავი; ფოთლები - ლანცეტისებრი, სუსტად შებუსავი, მწვანე; ყვავილედ - თავთავი, ლანცეტისებრი, 4.5-6 მმ სიგრძის, ყვავილობს ზაფხულის ბოლოს; მარცვალი - ელიფსური, მოყვითალო-მონითალო, ზომით 2.8-3 მმ, მნიფდება სექტემბერ-ოქტომბერში.

**ხებალახა - L. Solanum dulcamara**



მრავალწლიანი შხამიანი მცენარეა ძაღლყურძენასებრთა ოჯახიდან, სიმაღლით 30-180 სმ, აქვს ფესურა; ღერო - გრძელი, კუთხოვანი, დატოტვილი, სუსტად შებუსავი; ფოთოლი - მორიგეობით განლაგებული, მოგრძო-კვერცხისებრი, ბოლოწახვეტებული, მთლიანი, აქვს არასასიამოვნო სუნი; ყვავილი - იასამნისფერი, იშვიათად თეთრი ან ვარდისფერი, ყვავილობს მაის-აგვისტოში; ნაყოფი - კენკრა, კვერცხისებრი ან ელიფსური,

წითელი, მბზინავი, მრავალთესლიანი, დიამეტრით 1 სმ; თესლი - მრგვალი, ყვითელი ან მოყვითალო-ყავისფერი, გვერდებთან შეჭყლეტილი, სიგრძე - 1.75-2.25 მმ, სიგანე - 1.5-1.75 მმ, მნიფდება ივლის-სექტემბერში; ასარევიანებს ჩაის პლანტაციებს, ბაღებს და სხვა.

**გალინსონგა - Galinsoga parviflora Cav.**



ერთწლიანი, ბალახოვანი, ფართოფოთიანი, საგაზაფხულო საჩვენებელი მცენარეა როტულყვავილოვანთა ოჯახიდან; ღერო - სწორმდგომი, მიშველი ან მცირედ შებუსავი, ჩვეულებრივ დატოტვილი, სიმაღლით 10-100 სმ; ფოთლები - მოპირისპირედ განლაგებული, კვერცხისებრი, კიდებზე წვრილად დაკბილული; ყვავილედ - კალათა, პატარა ზომის, განაპირა ყვავილები თეთრია, შიდა - ყვითელი, ყვავილობს ივლის-სექტემბერში; თესლურა - მართკუთხედიანი, 1-1.5 მმ სიგრძის, აქვს საფრენი, ერთ მცენარეზე ვითარდება 300 000 თესლი. გავრცელებულია ნათესებში, ტყისპირა მიდამოებში.

**ლურჯი ნარი, ლურჯეკალა - Eringium coeruleum M. B.**



მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა ქოლგოსანთა ოჯახიდან; ღერო - სწორი, შეუბუსავი, მოლურჯო, ზემოთ დატოტვილი, 50 სმ-მდე სიმაღლის; ფოთლები - მთლიანი ან ფრთისებრდანაკვეთილი, ტყავისებრი, ეკლიანი; ყვავილი - პატარა, მოლურჯო-ცისფერი; ნაყოფი დაფარული ქერქლით.

**დედაფუტკარა - Stachys L**



მრავალწლიანი, ფესურიანი, შხამიანი მცენარეა ტუჩოსანთა ოჯახიდან; ღერო - სწორი, მერხერი ბუხუსებით დაფარული, სიმაღლით 35-120 სმ; ფოთოლი - მოგრძო ელიფსური ან ლანცეტა, მორიგეობით განლაგებული; ყვავილები - მონითალო - იასამნისფერი, როული, თავთავისებრ ყვავილედებად შეკრებილი; ყვავილობს ივნის-ივლისში; ნაყოფი - მუქი ყავისფერი, კვერცხისებრი, 1.5 მმ, მნიფდება აგვისტოში.



**კახეთში ამერიკული თეთრი პეპლის სანინალმდეგო ღონისძიებები მიმდინარეობს**



სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვის მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტო კახეთის რეგიონში ამერიკული თეთრი პეპლის სანინალმდეგო ღონისძიებებს ატარებს. სააგენტოს კახეთის რეგიონული სამმართველოს სპეციალისტებმა წამლობა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლებში მონიტორინგის შედეგების მიღებისთანავე დაიწყეს. 17 ივლისის მონაცემებით, 900 ჰა ფართობია დამუშავებული. ღონისძიებები უსაფრთხოების წესების სრული დაცვით მიმდინარეობს. მავნებლის გავრცელების არეალის დადგენის მიზნით, გრძელდება მონიტორინგი.

ამერიკული თეთრი პეპლის სანინალმდეგო წამლობა ჩატარდება ყვარლისა და თელავის მუნიციპალიტეტებშიც.

აღსანიშნავია, რომ ამერიკული თეთრი პეპლის სანინალმდეგო განხორციელებული ინტენსიური ღონისძიებების შედეგად, დასავლეთ საქართველოში მავნებლის გავრცელების მხოლოდ ერთეული შემთხვევებია გამოვლენილი.

ამერიკული თეთრი პეპლა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაშია გავრცელებული; საქართველოში ის 1976 წელს, იმერეთში დაფიქსირდა. მავნებელი აზიანებს 300-ზე მეტი სახეობის მცენარეს და სოფლის მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება შეუძლია.

სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსის, ნიკოლოზ მესხის განცხადებით, კახეთში ამერიკული თეთრი პეპლის სანინალმდეგო წამლობა მწვანე საფარის დასაცავად და მოსავლის შესანარჩუნებლად ტარდება. სააგენტო მონიტორინგის შედეგების საფუძველზე ადგენს და ამუშავებს მავნებლის გავრცელების კერებს.



**აღმოსავლეთ საქართველოში კალიების სანინალმდეგოდ 17 ათასი ჰა ფართობია დამუშავებული**

მოსახლეობისთვის ზარალის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, აღმოსავლეთ საქართველოში იტალიური კალიის სანინალმდეგო ღონისძიებები მიმდინარეობს.

კახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში მოხილზებულია სპეციალური ტექნიკა, ტერიტორიები სამანქანე დანადგარებით მუშავდება. აღმოსავლეთ საქართველოში ამ ეტაპისთვის 17 000 ჰა ფართობია დამუშავებული.

სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დამცველები მავნებლის გავრცელების არეალს მონიტორინგის შედეგების საფუძველზე ადგენენ, რის შემდეგაც წამლობითი ღონისძიებები იგეგმება.







# საქართველოს ბიომრავალფეროვნება

მიუხედავად ტერიტორიული სიმცირისა, საქართველოს ბიომრავალფეროვნება საკმაოდ მრავალფეროვანია. გაგაცნობთ საქართველოს ფლორისა და ფაუნის 4 ნარმომადგენელს



**მედუღაკა**

**მედუღაკა (Bombycilla garrulus)** საქართველოში იშვიათად მოხამთრე ფრინველია და განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა. მედუღაკეები დიდ, ხმაურიან გუნდებად დაფრინავენ

და კენკრით იკვებებიან. მათი საქართველოში შემოსვლა გლობალური პოპულაციების რიცხოვნობის მატებას უკავშირდება. ამ დროს მათი ძირითადი გავრცელების არეალი მკვეთრად იზრდება.



**ჩვეულებრივი ლაქო**

**ჩვეულებრივი ლაქო (Lanius collurio)** საქართველოში მოხდარია, გადამფრენი ფრინველია, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით გვხვდება. ბინადრობს ტყისპირებში, მერხერ ტყეებში, ბუჩქნარიან ადგილებში. ბუდეს იკეთებს ხეზე ან ბუჩქზე.

დებს 4-6 კვერცხს, რომელთა ინკუბაცია 2 კვირამდე გრძელდება. აგრესიული ფრინველია, იკვებება მსხვილი მწერებით, წრუნუნებით, ხვლიკებით, წვრილ-წვრილი ფრინველებით.



**თუთობო**

**თუთობო (Rhus coriaria)** ფოთოლმცვენი ბუჩქია, რომელიც გავრცელებულია მთელ საქართველოში, ზღვის დონიდან 1000 მ-მდე სიმაღლეზე. ზრდასრული მცენარის სიგრძე 2-3 მ-ია, ტოტები და ყლორტები ხშირი ბუხუსითაა დაფარული. ყლორტებზე რიგ-რიგად განწყობილი,

ფოთოლაკები ელიფსური ფორმისაა, ყვავილები - წვრილი, მოყვითალო ან ღია მწვანე, მტევნისებრ ყვავილედებად შეკრული; ნაყოფი - გაბრტყელებული, ოვალური ფორმის, ბრჭყვიალა წითელი, კურკიანი, მუავე გემოსი. ნაყოფი საკვებად ვარგისია და ფართოდ გამოიყენება კულინარიაში.



**უზანი**

**უზანი (Viburnum lantana)** ფართოდაა გავრცელებული საქართველოში. ფოთოლმცვენი ბუჩქია, სიმაღლე 2-3 მ, ღერო და ტოტები მონაცრისფრო ან მოყვითალო, რბილი ქერქით დაფარული; მერქანი მაგარი და დრეკადია, ფოთლები - კვერცხისებური,

კიდებზე დაკბილული, მოკლე ყუნწით; ყვავილები წვრილი, თეთრი, ორსქესიანი, ყვავილედებად შეკრულია; ნაყოფი შავია. უზანი დეკორატიული მცენარეა და გამოიყენება ბაღებისა და პარკების გასამწვანებლად.

